8 б
384

91
186

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1

იანვარი — თებერვალი

1984 წ.

17.876

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1 იანვარი—თებერვალი 1984 წ.

## შინაარსი

### საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

1. ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხებზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ
2. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 20 სექტემბრის № 915 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ
3. „ბავშვიანი ოჯახებისათვის სახელმწიფო დახმარების გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 22 იანვრის № 235 დადგენილების შესრულების დამატებით ღონისძიებათა თაობაზე

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

4. „გეოდეზიური ნიშნების დაცვის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 18 მარტის № 330 დადგენილებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე
5. საქართველოს სსრ რესპუბლიკაში პროექტების დამტკიცებისა და ექსპერტიზის წესის შესახებ

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ

6. ბუნების დაცვის დარგში საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად დასახულ ღონისძიებათა შესრულებაში საზოგადოებრიობის როლის ამაღლების შესახებ
7. საქართველოს სსრ სამონადირეო მეურნეობის გაძღოლის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ
8. წავკისისხევის პალეონტოლოგიური ნამარხებისა და უნიკალური ფლორის ბუნების ძეგლად გამოცხადების შესახებ
9. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ
10. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერების მართვის სისტემის სრულყოფისა და რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის შესახებ
11. საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების დებულების დამტკიცების შესახებ
12. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მებაღეობის ამხანაგობებში საზაფხულო საბაღე სახლების მშენებლობის მდგომარეობის შესახებ
13. სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ტიპობრივი დებულების დამტკიცების შესახებ
14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილების დამტკიცების შესახებ

# საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

## 1 ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხებზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

საქართველოს სსრ კანონთა წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით და ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხებზე კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, დანართის თანახმად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ე. შევარდნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**დ. ქართველიშვილი.**

ქ. თბილისი, 1984 წ. 24 იანვარი, № 57

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 24 იანვრის № 57 დადგენილების დანართი

## ნ უ ს ხ ა

### საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ძალადაკარგული დადგენილებებისა

1. 1-ლი პუნქტის „ბ", „გ" და „დ" ქვეპუნქტები საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1942 წლის 10 ივნისის № 966 დადგენილებისა „საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს მუშაობის შესახებ".

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1951 წლის 3 დეკემბრის № 1717 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან სახალხო მეურნეობის საქმეთა სამმართველოს მოწყობის შესახებ".

3. მე-6 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 18 ნოემბრის № 658 დადგენილებისა „საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ".

4. მე-14 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 15 ოქტომბრის № 575 დადგენილებისა „ქალაქების თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონის გაფართოების, გარემოს გაჯანსაღებისა და მშრომელთა მასობრივი დასვენების პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 6 მარტის № 143 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე".

## 2 სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 20 სექტემბრის № 915 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში ანგარიშსწორების საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 20 სექტემბრის № 915 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— მე-17 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 6 ივნისის № 376 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან ნიადაგების დაცვის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ";

— 21-ე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის პირველი აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 16 მარტის № 141 დადგენილებისა „ვაჭრობისა და მისი ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ".

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე |
| **ე. შევარდნაძე.** | **ნ. ჩითანავა.** |

ქ. თბილისი, 1984 წ. 31 იანვარი, № 63

## 3 „ბავშვიანი ოჯახებისათვის სახელმწიფო დახმარების გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 22 იანვრის № 235 დადგენილების შესრულების დამატებით ღონისძიებათა თაობაზე

ბავშვიანი ოჯახებისათვის დახმარების გაძლიერების და რესპუბლიკაში დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა გააქტიურების მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მონაწილეობით საქართველოს სსრ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშაოს 1984 წლის განმავლობაში წინადადე-

ბანი მომუშავე დედებისათვის შრომის ხელშემწყობი პირობების შესაქმნელად, რაც მათ მისცემს შვილების ჯეროვანი აღზრდის შესაძლებლობას; მოიფიქროს ქალთა შრომის ფორმები და შექმნას მისი ოპტიმალური გამოყენების ზუსტად აწყობილი სისტემა (შინ შრომა, სამუშაო ადგილების შექმნა შემოკლებული სამუშაო დღით და ა. შ.).

სამინისტროებისა და უწყებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების, პროფკავშირული ორგანოების დიდმნიშვნელოვან ამოცანად ჩაითვალოს შრომის ხელშემწყობი პირობების შექმნა თითოეულ სამუშაო ადგილზე, განსაკუთრებით მომუშავე ქალებისათვის, და დაევალოთ მათ უზრუნველყონ შრომის პირობების გაუმჯობესების, მისი დაცვის და სანიტარიულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა კომპლექსური გეგმების უცილობლივ შესრულება, განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომელიც ითვალისწინებს ქალთა განთავისუფლებას ღამის ცვლებში მუშაობისაგან, მძიმე ფიზიკური შრომისაგან, ყოველგვარი სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო სადგომით მუშაკთა სრული უზრუნველყოფა დაწესებული ნორმების შესაბამისად, კერძოდ, ქალთა პირადი ჰიგიენის ოთახების ორგანიზაცია.

2. საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ, საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტმა, დარგობრივ პროფკავშირთა რესპუბლიკურმა კომიტეტებმა რესპუბლიკის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, მოყოლებული 1984 წლიდან, კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებისას ფართოდ გაითვალისწინონ განაყოფში „მომუშავე ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები და ბავშვთა აღზრდაში დახმარების გაწევა“ დედათა და ბავშვთა დაცვის, დედათა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების კონკრეტული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი.

3. საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულმა სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა 1984 წლის ბოლომდე შეისწავლონ მოკავშირე რესპუბლიკების, სოციალისტური ქვეყნების, მახარაძის, ზუგდიდის, გურჯაანის რაიონების მთელი რიგი მეურნეობების, ქალაქ თბილისის 1 მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის გამოცდილება დემოგრაფიული სიტუაციის გასაუმჯობესებლად და ამის საფუძველზე შეიმუშაონ კონკრეტული რეკომენდაციები რესპუბლიკაში დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესების შესახებ.

4. საქართველოს სსრ სახმშენმა შეიმუშაოს განმეორებით გამოსაყენებელი პროექტები ქალაქებსა და სოფლებში სპეციალურად მრავალშვილიანი ოჯახებისათვის ბინებისა და საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად.

5. იმ ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, სადაც რთული დემოგრაფიული სიტუაციაა, გაითვალისწინონ, მოყოლებული 1984 წლიდან, სამი და მეტშვილიანი ოჯახებისათვის ავტოტრანსპორტის, საშენი მასალების, ავეჯისა და სხვა დეფიციტური საქონლის რიგგარეშე გამოყოფის ღონისძიებანი.

6. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულმა საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა და ორგანიზაციებმა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად, მოყოლებული 1984 წლიდან:

— უზრუნველყონ, რომ პირველ რიგში გამოუყონ მრავალშვილიან დედებს, მათ შორის მარტოხელა დედებს, რომელთაც ჰყავთ 16 წლამდე ასაკის სამი და მეტი შვილი, მიწის ნაკვეთები მებაღეობის ამხანაგობებში, აგრეთვე მისცენ მათ უპირატესობა წლის მუშაობის შედეგების მიხედვით იმ მუშამოსამსახურეთა შორის ჯილდოების განაწილებისას, რომელთაც დადებითად გამოიჩინეს თავი;

— გაითვალისწინონ სანიტარიულ-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ქსელის გაფართოება, ამასთან აღჭურვონ ისინი შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით ბავშვიანი მომუშავე ქალების დასასვენებლად და სამკურნალოდ მიღების მიზნით.

7. საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ ყოველწლიურად, მოყოლებული 1984 წლიდან, გამოუყოს სტუდენტთა არდადეგების დროს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებს მიზნობრივი დანიშნულებით საგზურები ოჯახიან სტუდენტთა დასასვენებლად.

8. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ:

— შეისწავლოს საკითხი საკავშირო უმაღლეს სასწავლებელთა ეკონომიკის ფაკულტეტების ხალხთმოსახლეობის ეკონომიკისა და დემოგრაფიის სპეციალობებზე შესასვლელად კონკურსგარეშე ადგილების გამოყოფის შესახებ;

— მოყოლებული 1984/85 სასწავლო წლიდან, უზრუნველყოს სტაჟირების გზით და მიზნობრივი ასპირანტურის მეშვეობით საკავშირო ცენტრებში სპეციალისტ დემოგრაფთა და მეცნიერ თანამშრომელთა მომზადება;

— მოყოლებული 1984/85 სასწავლო წლიდან, შემოიღოს პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთათვის ფაკულტატიური კურსი საოჯახო ცხოვრებისათვის ახალგაზრდობის მომზადების საკითხებზე;

— მისცენ ოჯახიან სტუდენტებს სტიპენდიები, აკადემიური წარმატების დონის მიუხედავად;

— გამოყოს თბილისის სტუდენტთა ქალაქში სპეციალური კორპუსი ოჯახიანი სტუდენტებისათვის, ამასთან მისცეს მათ ცალკე ოთახები, იმის მიუხედავად, სწავლობენ თუ არა მეუღლეები ერთ უმაღლეს სასწავლებელში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატმა განახორციელოს ანალოგიური ღონისძიება ბაგების სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის ერთ-ერთ კორპუსში;

— უმაღლესი ან საშუალო სპეციალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გაანაწილოს პირველ რიგში ოჯახიანი კურსდამთავრებულნი მათი სურვილის გათვალისწინებით.

9. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, რესპუბლიკის სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა, რომელთაც ექვემდებარებიან უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად განიხილონ 1984 წლის ბოლომდე საკითხი საგამოცდო სესიების წარმატებით დამთავრების შემდეგ ორ და მეტშვილიან სტუდენტთა ოჯახებისათვის ერთდროული დახმარების მიცემის წესის შესახებ, ხოლო საკითხებზე, რომლებიც მთავრობის გადაწყვეტილებას მოითხოვენ, დადგენილი წესით წარმოუდგინონ წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

10. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ სახლ-ინტერნატებში მომსახურე პერსონალის უკმარობის გათვალისწინებით უპირატესობა მისცენ, მოყოლებული 1984/85 სასწავლო წლიდან, სამედიცინო სასწავლებლებში შესვლისას პირებს, რომლებმაც ამ დაწესებულებებში იმუშავეს არანაკლებ ორი წელი.

11. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ:

— მიიღონ საჭირო ზომები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჰიგიენური და სქესობრივი აღზრდის საკითხების, აგრეთვე საოჯახო ცხოვრების ეთიკისა და ფსიქოლოგიის კურსის სწავლების შემდგომი გაუმჯობესებისა და გაფართოებისათვის;

— უზრუნველყოს სკოლები შესაბამისი სახელმძღვანელოებით, სისტემატურად განაზოგადოს და პროპაგანდა გაუწიოს დადებითს გამოცდილებას.

12. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიანი სახელმწიფო გეგმების პროექტებში ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებზე რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნილებათა სრულ დაკმაყოფილებას 1995 წლამდე.

13. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებულ საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა ჩაბმა წილობრივ საწყისებზე დედათა და ბავშვთა დაცვის სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების, აგრეთვე საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებებისა და სპორტული ნაგებობების (უწინარეს ყოვლისა, საცურაო აუზების) მშენებლობაში.

14. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა:

— ორგანიზაცია გაუწიონ შრომითი კოლექტივების შეფობას მრავალშვილიანი ოჯახებისადმი;

— უზრუნველყონ მრავალშვილიანი ოჯახებისათვის საშენი მასალების პირველ რიგში გამოყოფა საცხოვრებლის ასაშენებლად, გაუწიონ მათ დახმარება კოოპერირებული მეურნეობის მოწყობაში;

— გააფართოონ სეზონურ საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელი, გააძლიერონ დაწესებულებების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა ამ დიდმნიშვნელოვან უბანზე საქმის ვითარებისათვის;

— მოყოლებული 1984 წლიდან, უფასოდ მისცენ რესპუბლიკის სასოფლო რაიონებში ერთი ლიტრი რძე დღეში დედებს, რომელთაც ჰყავთ ერთ წლამდე ასაკის შვილები.

15. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად 1984 წლის ბოლომდე შეიმუშაოს დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული პროგრამა, რომელიც შეიცავს შობადობის სტიმულირების საკითხებს, ამასთან გამოიყენოს სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში ანალოგიური პროგრამების შექმნის გამოცდილება.

16. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ:

— შექმნას სამეცნიერო სამედიცინო საბჭოსთან მოსახლეობის გამრავლების საკითხთა კომისია, დაავალოს მას შეისწავლოს და განიხილოს 1984 წლის ბოლომდე საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შესაბამისი ინსტიტუტების რეკომენდაციები საქართველოს სს რესპუბლიკაში დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესების (ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის გენერაციული ფუნქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი), მშობიარობის დროს გართულებათა თავიდან აცილების (პერინატალური მედიცინის, მეანობისა და გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი), ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების გაუმჯობესებისა და ბავშვთა ადრეული სიკვდილიანობის შემცირების (პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი) შესახებ, აგრეთვე შეისწავლოს და განიხილოს ნუსხა პოტენციურად საშიში პროფესიებისა, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუწყონ ქალის გენერაციული ფუნქციის მოშლას (შრომისა და პროფდაავადებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი პერინატალური მედიცინის, მეანობისა და გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან, ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის გენერაციული ფუნქციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან ერთად).

საკითხებზე, რომლებიც მთავრობის გადაწყვეტილებას მოითხოვენ, წარმოუდგინოს წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

— ხელახლა აღჭურვოს 1984-1985 წლებში სამშობიარო დაწესებულებანი და ქალთა კონსულტაციები საჭირო თანამედროვე მოწყობილობითა და აპარატურით, მათ შორის მშობიარობის გაუტკივარებისათვის;

— დაამთავროს 1984 წელს ტერიტორიული პედიატრიული უბნების დაწვრილერთეულება, იმ ვარაუდით, რომ ერთი უბნის ექიმი-პედიატრი ემსახურებოდეს საშუალოდ 800-მდე ბავშვს;

— გაშალოს 1984 წლის ბოლომდე ქალაქ თბილისში რეპროდუქტოლოგიური დახმარების კაბინეტების ქსელი, ხოლო 1985 წლის ბოლომდე — რესპუბლიკის რაიონებში;

— შეიმუშაოს და განახორციელოს ნაყოფის ანტენატალური დაცვის, „მაღალი რისკის“ ბავშვთა დისპანსერიზაციის დამატებითი ღონისძიებანი, გააფართოოს და განამტკიცოს იმ დაწესებულებათა ქსელი, რომლებიც სარეაბილიტაციო დახმარებას უწევენ ბავშვებს მათი სიკვდილიანობის შემდგომი შემცირების, ჯანსაღი თაობის აღზრდის უზრუნველყოფის მიზნით;

— შეიმუშაოს და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ნაყოფის ანტენატალური დაცვის, პრენატალური დიაგნოსტიკისა და ბიორეგულაციის რესპუბლიკური სამეცნიერო-კლინიკური ცენტრის ორგანიზაციის შესახებ;

— სამი თვის ვადაში წარუდგინოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშებანი რესპუბლიკის სამშობიარო დაწესებულებებიდან გამოწერილი ახალშობილების უფასო აფთიაქით უზრუნველსაყოფად სახსრების გამოყოფის საკითხის განსახილველად;

— შეისწავლოს დასაქორწინებელ პირთა სამედიცინო შემოწმებისათვის ბალტიისპირეთის რესპუბლიკების გამოცდილების დანერგვის შესაძლებლობა, ხოლო საკითხებზე, რომლებიც მთავრობის გადაწყვეტილებას მოითხოვენ, სამი თვის ვადაში წარმოადგინოს წინადადებანი დადგენილი წესით;

— მოყოლებული 1984 წლიდან, მოაწყოს ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის გენერაციული ფუნქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე რეპროდუქტოლოგიის სპეციალიზაციის, ანდროლოგიის ჩათვლით, მოკლევადიანი კურსები რესპუბლიკის მეან-გინეკოლოგი და უროლოგი ექიმებისათვის;

— სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან ერთად შეიმუშაოს დებულება შობადობისა და მოსახლეობის გამრავლების საკითხებზე საუკეთესო სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომისათვის პროფესორ ი. ჟორდანიას სახელობის პრემიის დაწესების შესახებ და სამი თვის ვადაში წარმოუდგინოს წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

— მიიღოს ზომები ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებათა გაყიდვის გასაფართოებლად და გააძლიეროს მოსახლეობაში მათი პროპაგანდა ხელოვნური აბორტების და ამის შედეგად მეორეული უნაყოფობის შემთხვევების რაოდენობის შემცირების მიზნით;

— შეიქმნას, მოყოლებული 1984 წლიდან, ბავშვთა პოლიკლინიკებთან და საავადმყოფოებთან სპეციალური კუთხეები მშობელთათვის იმ მიზნით, რომ ისინი გაეცნონ სხვადასხვა ასაკის ბავშვთა მოვლისა და აღზრდის საკითხებს;

— შეიმუშაოს და დანერგოს რესპუბლიკის მოსახლეობაში, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში, სანიტარიულ-საგანმანათლებლო მუშაობის ეფექტიანი მეთოდები სქესობრივი ცხოვრების ჰიგიენის, მრავალშვილიანობის საკითხებზე და ა. შ.;

—მოაწყოს რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში საზოგადოებრივ საწყისებზე სამკურნალო ფიზკულტურის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტები მშობელთათვის ახალგაზრდა თაობის ფიზიკური აღზრდის სწორი ორიენტაციის მიზნით;

— გააძლიეროს სანიტარიულ-საგანმანათლებლო მუშაობა დედათა და ბავშვთა დაცვის, ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების ორგანიზაციის საკითხებზე, ამასთან გამოიყენოს ამ მიზნით მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი;

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის თერაპიული და ქირურგიული პროფილების შესაბამის კათედრებზე გერონტოლოგიისა და გერიატრიის სწავლების საკითხებს;

— მიიღოს ზომები საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გერონტოლოგიისა და გერიატრიის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის საქმიანობის გასაუმჯობესებლად, მის ბაზაზე საკონსულტაციო გერიატრიული დახმარების გაწევის ჯგუფის შესაქმნელად.

17. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ გააფართოოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული გერონტოლოგიისა და გერიატრიის საპრობლემო საბჭოს ბაზა დაბერების პროცესთა ბიოლოგიის და გერონტოლოგიის სოციალურ და დემოგრაფიულ საკითხებზე მიზანდასახული კვლევის ორგანიზაციისათვის, ამასთან გამოიყენოს ამ მიმართულებით ბელორუსიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის მუშაობის გამოცდილება.

18. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ:

— საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულ გერონტოლოგიისა და გერიატრიის საპრობლემო საბჭოსთან ერთად შეიმუშაოს სამედიცინო-სოციალური ცენტრის ორგანიზაციის პროექტი და წარმოუდგინოს წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის ბოლომდე;

— მოაწყოს 1985-1986 წლებში თბილისის პერსონალურ პენსიონერთა სახლ-ინტერნატის ბაზაზე სამედიცინო-სოციალური ცენტრი სხვადასხვაგვარი სამედიცინო და სოციალური მომსახურებით ხანდაზმულ და მოხუცებულ პირთა უზრუნველსაყოფად.

19. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის კომისიებმა ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების ჯანმრთელობის დაცვის ორგანოთა შორის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების ყოველკვარტალური შეჯამებისას გაითვალისწინონ ბავშვთა სიკვდილიანობის მონაცემები.

სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურმა კომისიამ 1984 წლის ბოლომდე განსაზღვროს მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების გაწევის მდგომარეობისა და დონის დამახასიათებელ ძირითად მაჩ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვენებელთა ნუსხა და, მოყოლებული 1985 წლიდან, გაითვალისწინოს ისინი ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მიხედვით შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას.

20. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ მიიღონ კონკრეტული ზომები რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში საბავშვო სარძეო სამზარეულოებისა და გასაცემი პუნქტების ქსელის გასაფართოებლად, ამასთან გამოიყენონ არსებული სადგომები და განახორციელონ ახლის მშენებლობა დაფინანსების ადგილობრივი წყაროების ხარჯზე, გააუმჯობესონ მათი ტექნიკური აღჭურვა და სანიტარიული მდგომარეობა.

მიღებული ზომების შესახებ მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის მარტამდე.

21. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ და ცეკავშირის გამგეობამ:

— შეიმუშაონ 1984 წლის პირველი კვარტალის ბოლომდე წინადადებანი იმ ოჯახების უფრო სრული სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების შესახებ, რომელთაც ჰყავთ სკოლამდელი ასაკის ბავშვები;

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სოფლის მოსახლეობის სავაჭრო-საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარების დავალებათა, აგრეთვე სამინისტროებთან, უწყებებთან, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ერთად — უშუალოდ წარმოებაში საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარების დავალებათა შესრულებას.

საკითხებზე, რომლებიც მთავრობის გადაწყვეტილებას მოითხოვენ, წარმოუდგინონ წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

22. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ და ცეკავშირის გამგეობამ:

— გააუმჯობესონ მუშაობა ბავშვთა კვების პროდუქტებზე მოსახლეობის მოთხოვნილების შესასწავლად, გააფართოონ 1984-1985 წლებში ამ საქონლით მოვაჭრე სპეციალიზებული მაღაზიებისა და განყოფილებების ქსელი, უზრუნველყონ, რომ იქ მუდამ ჰქონდეთ ფართო ასორტიმენტის პროდუქტები;

— გააუმჯობესონ ბავშვთათვის განკუთვნილი სამრეწველო საქონლის სავაჭრო საწარმოების მუშაობა, უზრუნველყონ 1984-1985 წლებში რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონულ ცენტრში სპეციალიზებული მაღაზიების ან განყოფილებების შექმნა ახალდაქორწინებულთათვის განკუთვნილი საქონლის გასაყიდად, გააუმჯობესონ მოქმედი მაღაზიებისა და განყოფილებების მუშაობა, გააფართოონ იქ გასაყიდი საქონლის ასორტიმენტი.

23. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ განიხილონ ბავშვთათვის განკუთვნილი საქონლის წარმოების გადიდების საკითხი და წარმოუდგინონ წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის პირველ ნახევარში.

24. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ გაითვალისწინოს ბავშვთათვის განკუთვნილი საქონლის გასაყიდად სპეციალიზებული საკომისიო მაღაზიების ან განყოფილებების შექმნა რესპუბლიკის ქალაქებში 1984 წლის ბოლომდე.

25. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ გააფართოოს ბავშვთა მოსავლელად გათვალისწინებული ტექნიკისა და საყოფაცხოვრებო საგნების გაქირავება, რისთვისაც შექმნას ქალაქ თბილისში სპეციალიზებული გამქირავებელი პუნქტები ზემოაღნიშნული საგნების ფართო ასორტიმენტით.

26. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ:

— უზრუნველყონ ბავშვთა კვების პროდუქტების გამოშვება და მიწოდება რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციათა განაცხადების ზუსტი შესაბამისობით;

— უზრუნველყონ ადრეული ასაკის ბავშვთათვის რძის პროდუქციის მიწოდება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს განაცხადების თანახმად და იმ მოცულობით, რაც აკმაყოფილებს რესპუბლიკის ქალაქების მოთხოვნილებას.

27. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრომ აწარმოოს მეთერთმეტე ხუთწლედში 8,6 ათასი ტონა, ხოლო მეთორმეტე ხუთწლედში — 13,4 ათასი ტონა პურფუნთუშეული ბავშვთა საკვებად.

28. საქართველოს სსრ სახმშენმა ახალი საცხოვრებელი მასივების მშენებლობის დაგეგმვისას გაითვალისწინოს საბავშვო ოთახებისა და სპორტული მოედნების შექმნის აუცილებლობა.

29. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მოაწყოს 1984-1985 წლებში ექსპერიმენტის წესით ქალაქ თბილისის რაიონებში საბავშვო კლუბები და ოთახები სწავლისაგან თავისუფალ დროს მოსწავლეთა სამეცადინეოდ.

30. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა შეიმუშაოს დებულება დევიზით „დედა, მამა და მე — სპორტული ოჯახი“ ყოველწლიური რესპუბლიკური სპარტაკიადების ჩატარების წესის შესახებ და ჩაატაროს პირველი სპარტაკიადა 1984 წელს.

31. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ განაზოგადოს ბავშვთა აღსაზრდელად ალიმენტების გადახდევინების შესახებ გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის სახალხო სასამართლოების მუშაობის პრაქტიკა და ამის საფუძველზე შეიმუშაოს 1984 წელს რეკომენდაციები სახალხო სასამართლოებისათვის.

32. რესპუბლიკურმა საზოგადოებამ „ცოდნამ“ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან, საქართ-

ველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან ერთად მოაწყოს ლექციებისა და საუბრების ციკლები საბჭოური ცხოვრების წესის პროპაგანდის საკითხებზე, საოჯახო ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე, დედობის პრესტიჟის ამაღლების, ქორწინებისა და ოჯახის განმტკიცების პრობლემებზე, ამასთან უზრუნველყოს ლექციებისა და საუბრების ჩატარება რესპუბლიკის საწარმოებში, ორგანიზაციებში, კლუბებში და მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

33. რესპუბლიკურმა საზოგადოებამ „ცოდნამ“ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა შექმნან 1984/85 სასწავლო წელს რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში სახალხო უნივერსიტეტების ფაკულტეტები ოჯახისა და ქორწინების საკითხებზე.

34. საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა გააფართოოს ოჯახისა და ქორწინების საკითხებზე სპეციალურ გადაცემათა ციკლების ორგანიზაცია.

35. საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა

— მოაწყოს, მოყოლებული 1984 წლიდან, სპეციალური ლიტერატურის გამოშვება საოჯახო-საქორწინო ურთიერთობისა და აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელების საკითხებზე; გამოუშვას მასობრივი ტირაჟით ბროშურები და დამხმარე მასალები სიცოცხლის პირველ წლებში ბავშვთა აღზრდისა და მოვლის შესახებ;

— მოაწყოს 1984 წელს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონული ცენტრების წიგნის მაღაზიებში სპეციალიზებული სექციები ქორწინების, ოჯახის, სქესობრივი ცხოვრების ჰიგიენის და სხვა საკითხებზე ლიტერატურის გასაყიდად;

— ყოველწლიურად გამოსცეს, მოყოლებული 1984 წლიდან, სპეციალური ცნობარები ახალდაქორწინებულებისა და მრავალშვილიანი ოჯახებისათვის.

36. საქართველოს მწერალთა კავშირმა პერიოდულად მოაწყოს კონკურსები საუკეთესო პუბლიცისტური და მხატვრული ნაწარმოების შესაქმნელად თემებზე: „ახალგაზრდა ოჯახი“, „ქორწინება“, „მრავალშვილიანობა“.

37. შემოქმედებითმა კავშირებმა, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა მიიზიდონ შემოქმედი მუშაკები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი ნაწარმოებთა შესაქმნელად, რომლებიც წარმოგვიდგენენ დედის — ქალის სახეს, აამაღლებენ ოჯახისა და ქორწინების პრესტიჟს.

38. ფართოდ იქნეს განხილული შრომითს კოლექტივებში, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ კრებებზე, ახალგაზრდულ კოლექტივებში დე-

მოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესების პრობლემები, რომლებიც დგას რესპუბლიკის წინაშე.

39. ამ დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდეს პრესაში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ე. შევარდნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**დ. ქართველიშვილი.**

ქ. თბილისი, 1984 წ. 31 იანვარი № 81

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

### 4 „გეოდეზიური ნიშნების დაცვის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 18 მარტის № 330 დადგენილებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე

„გეოდეზიური ნიშნების დაცვის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 4 დეკემბრის № 4948 დადგენილებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 17 მარტის № 218 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეტანილ იქნეს „გეოდეზიური ნიშნების დაცვის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 18 მარტის № 330 დადგენილებაში ცვლილებანი და დამატებანი და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

„გეოდეზიური პუნქტების დაცვის შესახებ

ქვეყნის სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და თავდაცვისათვის გეოდეზიური ქსელების დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გათვალისწინებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ მუდმივ გეოდეზიურ პუნქტებს (ტრანგულაციის, პოლიგონომეტრიის ცენტრები, ნიველირების მარკები და რეპერები, ასტრონომიულ და გრავიმეტრიულ განსაზღვრათა პუნქტები, გარე ნიშნები, შუქურები. სანავიგაციო ნიშნები) იცავს სახელმწიფო.

გეოდეზიური პუნქტების აღება ან ხელახლა მოწყობა ხდება მხოლოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველოს საქართველოს სახელმწიფო გეოდეზიური ზედამხედველობის ტერიტორიული ინსპექციის ნებართვით.

2. მიწის ნაკვეთები, რომლებზეც განლაგებულია გეოდეზიური პუნქტები, გეოდეზიური პუნქტების საზღვრების გასწვრივ 1 მეტრი სიგანის მიწის ზოლითურთ ჩაითვალოს ამ პუნქტების დაცვის ზონებად.

გეოდეზიური პუნქტების დაცვის ზონებში აკრძალულია:

— საკვების, სასუქებისა და მასალების დაწყობა, თივისა და ნამჯის დაზვინვა, ხე-ტყისა და ტორფის შტაბელების განლაგება, პირუტყვის ყოლა, ნაგავსაყრელების მოწყობა, ცეცხლის გაჩაღება;

— სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველოს საქართველოს სახელმწიფო გეოდეზიური ზედამხედველობის ინსპექციის გარეშე ისეთ სამუშაოთა წარმოება, რომელთაც შეუძლიათ უარყოფითი ზემოქმედება მოახდინონ გეოდეზიური პუნქტების დაცვაზე.

გეოდეზიური პუნქტების დაცვის ზონებში შემავალი მიწები არ ჩამოერთმევათ მიწათმოსარგებლეებს და მათ შეუძლიათ გამოიყენონ სასოფლო-სამეურნეო და სხვა სამუშაოთა შესასრულებლად, ამ პუნქტის მოთხოვნების სავალდებულო დაცვით.

3. გეოდეზიური პუნქტების დაცვის მეთვალყურეობის ორგანიზაცია ეკისრებათ:

ა) დასახლებული პუნქტების მიწებსა და სახელმწიფო მარაგის მიწებზე — საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს;

ბ) დადგენილი წესით საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სარგებლობაში გამოყოფილ მიწებზე — ამ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს.

გეოდეზიური პუნქტების დაზიანებისა და მოსპობის და იმ მასალების მოტაცების შესახებ, რომელთაგანაც არიან ისინი დამზადებული, ეცნობებათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველოს საქართველოს სახელმწიფო გეოდეზიური ზედამხედველობის ინსპექციასა და მილიციას.

4. გეოდეზიური პუნქტების დაზიანება და მოსპობა და იმ მასალების მოტაცება, რომელთაგანაც არიან ისინი დამზადებული, გამოიწვევს დამნაშავე პირთა პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. გეოდეზიური პუნქტების სისტემატურ გამოკვლევასა და გარე გაფორმების განახლებას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველოს საქართველოს სახელმწიფო გეოდეზიური ზედამხედველობის ინსპექციასთან შეთანხმებულ ვადებში და გეგმების მიხედვით ახორციელებენ:

ქალაქების მიწებზე — საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასკომები;

რკინიგზის ტრანსპორტის ორგანიზაციების სარგებლობაში გამოყოფილ მიწებზე — გზათა სამინისტროს ადგილობრივი ორგანიზაციები;

დანარჩენ მიწებზე — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 17 მარტის № 218 დადგენილების თანახმად — შესაბამისად — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველო და თავდაცვის სამინისტრო შეთანხმებული გეგმების მიხედვით.

6. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ, როგორც დაწესდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 17 მარტის № 218 დადგენილებით, ყველა სამინისტროსა და უწყებისათვის სავალდებულო ინსტრუქციას აღნიშნული დადგენილების გამოყენების წესის შესახებ დაამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველო თავდაცვის სამინისტროსთან ერთად სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით.

7. „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გეოდეზიური პუნქტების დაცვის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების მოთხოვნების დაცვისადმი ზედამხედველობას იმ ფუნქციების ნაწილში, რომლებიც ეკისრებათ გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველოს ორგანოებს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, განახორციელებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველოს საქართველოს სახელმწიფო გეოდეზიური ზედამხედველობის ინსპექცია“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჩითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 13 იანვარი 1984 წ. № 15

## 5 საქართველოს სს რესპუბლიკაში პროექტების დამტკიცებისა და ექსპერტიზის წესის შესახებ

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმის შემდგომი გაუმჯობესების, მშენებლობის დამტკიცებული სახარჯთაღრიცხვო ღირებულების დაცვისათვის პროექტების შემკვეთთა, საპროექტო და საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციათა პასუხისმგებლობის ამაღლების, სახარჯთაღრიცხვო ღირებულების დაუსაბუთებელი გადიდებისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და საფინანსო დისციპლინის დარღვევათა თავიდან აცილების მიზნით, „საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 30 მარტის № 312 და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს

კ. მარქსის ს. ს. საქ. სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 10 ნოემბრის № 789 დადგენილებათა შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ:

ა) როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 30 მარტის № 312 დადგენილებით დაწესდა, საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის პროექტებს (გარდა პროექტებისა, რომლებსაც ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო) ექსპერტიზას ჩაუტარებენ და დაამტკიცებენ:

— მშენებლობების მიხედვით, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება სრული განვითარებისათვის შეადგენს 3 მილიონ მანეთსა და მეტს, — სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები (მათს სისტემაში შემავალი ყველა მშენებლობისათვის), აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები (პროექტების ექსპერტიზას ახორციელებენ მოკავშირე რესპუბლიკების მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტები);

— მშენებლობების მიხედვით, რომლებიც ხორციელდება კოოპერაციული (გარდა კოლმეურნეობებისა) და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკუთარი სახსრების ხარჯზე, — ცენტრალური კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ დადგენილი წესით;

ბ) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 24 ივლისის № 1188 განკარგულებით მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს უფლება მიეცათ დაამტკიცონ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 30 მარტის № 312 დადგენილების მე-11 და მე-19 პუნქტებით გათვალისწინებული და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, სსრ კავშირის განათლების სამინისტროსა და სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში შემავალი 3 მილიონი მანეთი და მეტი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის საპროექტო-საძიებო სამუშაოთა სატიტულო სიები, აგრეთვე ჩაატარონ მათი ექსპერტიზა და დაამტკიცონ მშენებლობის პროექტები, თუ ამ ობიექტების მშენებლობისათვის კაპიტალური დაბანდებანი გამოყოფილი აქვთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს.

2. დაწესდეს, რომ იმ საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის პროექტებს (სამუშაო ნახაზებს), რომელთა ღირებულება სრული განვითარებისათვის 3 მილიონ მანეთზე ნაკლებია, ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ დაამტკიცებენ: მშენებლობების მიხედვით, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება სრული განვითარებისათვის შეადგენს 0,5-დან 3 მილიონამდე მანეთს, — სამინისტროები, უწყებები, სახელმწიფო კომიტეტები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისისა და ქუთაისის სა-

ხალხთა დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები, ხოლო 0,5 მილიონ მანეთზე ნაკლებს — მათ მიერ დადგენილი წესით.

3. დაეკისროს საქართველოს სსრ სახმშენს რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების მშენებლობათა პროექტების ექსპერტიზა:

— მშენებლობების მიხედვით, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება სრული განვითარებისათვის შეადგენს 1-დან 3 მილიონამდე მანეთს;

— საბინაო-სამოქალაქო დანიშნულების მშენებლობების მიხედვით, რაც ხორციელდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ან საქართველოს სსრ სახმშენის ნებართვით ინდივიდუალური პროექტების თანახმად, მიუხედავად მათი სახარჯთაღრიცხვო ღირებულებისა.

4. დაწესდეს, რომ:

— იმ საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა ყველა პროექტის ექსპერტიზას, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება სრული განვითარებისათვის შეადგენს 0,5-დან 1 მილიონამდე მანეთს, გარდა ინდივიდუალური პროექტების მიხედვით განსახორციელებელ მშენებლობათა პროექტებისა, ჩაატარებენ სამინისტროები, უწყებები, სახელმწიფო კომიტეტები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისისა და ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები, ხოლო 0,5 მილიონ მანეთზე ნაკლებს — მათ მიერ დადგენილი წესით;

— იმ მშენებლობათა პროექტები, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება სრული განვითარებისათვის შეადგენს 0,5-დან 3 მილიონამდე მანეთს, ამ დადგენილების მე-2 პუნქტის შესაბამისად მათი დამტკიცების შემდეგ შეუთანხმდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, რომელიც კურირებს შესაბამის დარგს;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დასამტკიცებელი პროექტების ექსპერტიზას ატარებს საქართველოს სსრ სახმშენი, ხოლო საწარმოო მშენებლობათა პროექტების ექსპერტიზას — საქართველოს სსრ სახმშენი და საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი ტექნოლოგიური განაყოფების მიხედვით;

— პროექტებს დასამტკიცებლად წარუდგენენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები მათი დამტკიცების შესახებ საქართველოს სსრ სახმშენის რეკომენდაციასთან ერთად საწარმოო მშენებლობათა პროექტების ტექნოლოგიური განაყოფების გამო საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის დასკვნის გათვალისწინებით, აგრეთვე სამინისტროს, უწყების შესაბამისი დასკვნით და ცნობით მშენებლობის გეგმაში ობიექტის შეტანის და საპროექტო-საძიებო სამუშაოთა დამტკიცებული სატიტულო სიის მიხედვით მისი საორიენტაციო ღირებულების შესახებ.

5. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 1 ივლისის № 1373 განკარგულების შესაბამისად განისაზღვროს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ

9. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა:

— განსაკუთრებული კონტროლი გაუწიონ თავიანთი საექსპერტო ქვედანაყოფების მუშაობას;

— გაუგზავნონ საქართველოს სსრ სახმშენს დოკუმენტების ახლები პროექტების დამტკიცების შესახებ ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებითურთ.

10. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ და საქართველოს სსრ სახმშენმა წარმოადგინონ რესპუბლიკის მთავრობის იმ გადაწყვეტილებათა ნუსხა, რომელთაც ძალა დაკარგეს ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჩითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 13 იანვარი 1984 წ. № 17

## 6 ბუნების დაცვის დარგში საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად დასახულ ღონისძიებათა შესრულებაში საზოგადოებრიობის როლის ამაღლების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის დეკემბრის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ბუნების დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში ერთიანი პოლიტიკის გატარების დიდ მნიშვნელობას და ამ პრობლემის გადაჭრისადმი საერთო-სახელმწიფოებრივი პოზიციებიდან კომპლექსური მიდგომის აუცილებლობას.

ბუნების დაცვის ამოცანების კომპლექსური გადაწყვეტისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრიობასთან გეგმაზომიერ და მიზანდასახულ მუშაობას. ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლი მიეკუთვნება საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოებას. მაგრამ მის საქმიანობაში მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებებია. არ იღებენ ქმედით ზომებს პრაქტიკულ ბუნებისდაცვითს საქმიანობაში ფართო საზოგადოებრიობის ჩასაბმელად, საგანმანათლებლო საქმიანობის დონე არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. საწარმოო ქვედანაყოფების უქონლობამ გამოიწვია საზოგადოების ფინანსური მდგომარეობის გაუარესება.

კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 30 მარტის № 312 დადგენილების მიღებამდე შემუშავებული რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების მშენებლობათა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხელახლა დასამტკიცებლად წარდგენის შემდეგი წესი:

— საქართველოს სსრ რესპუბლიკურ სამინისტროებსა და უწყებებს შემოაქვთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად შუამდგომლობა წერილის პროექტითურთ იმის შესახებ, რომ გაიგზავნოს სსრ კავშირის სახმშენისა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის შესათანხმებლად 3 მილიონი მანეთი და მეტი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მშენებლობათა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ან დადგენილების პროექტით იმის შესახებ, რომ ხელახლა დამტკიცდეს 3 მილიონ მანეთზე ნაკლები სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მშენებლობათა პროექტი.

წარმოსადგენი მასალების შემადგენლობაში უნდა შედიოდეს მონაცემები სამინისტროებისა და უწყებების მიერ პროექტების ხელახლა დამტკიცების მიზეზების განხილვის შედეგებისა და მიღებული ზომების შესახებ, მათ შორის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების დაუსაბუთებელი გადიდებისათვის დამნაშავეთა გამოვლენისა და დასჯის შესახებ;

— ხელახლა დასამტკიცებელი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზას ჩაატარებს საქართველოს სსრ სახმშენი საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმების შემდეგ.

საქართველოს სსრ სახმშენში ექსპერტიზაზე და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში შესათანხმებლად მასალები წარდგენილი უნდა იქნეს სსრ კავშირის სახმშენის საინსტრუქციო მითითებების სრული შესაბამისობით.

6. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ სახმშენთან შეთანხმებით 1984 წლის 1 მარტამდე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი კოლმეურნეობათა სახსრების ხარჯზე განსახორციელებელი საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის პროექტების დამტკიცებისა და ექსპერტიზის წესის შესახებ.

7. სსრ კავშირის მშენბანკისა და სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორებმა გააძლიერონ კონტროლი საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების მიერ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და საფინანსო დისციპლინის დაცვისადმი და ყველა გამოვლენილი დარღვევის შესახებ მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

8. საქართველოს სსრ სახმშენმა უზრუნველყოს მეთოდური ხელმძღვანელობა საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებში ექსპერტიზის ხაზით მუშაობისადმი და გააძლიეროს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების მიერ დასამტკიცებელი პროექტების ხარისხის შერჩევითი კონტროლი.

საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების, შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენების, მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური ბაზის განმტკიცების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოებამ უზრუნველყოს პარტიისა და მთავრობის ბუნებისდაცვითი პოლიტიკის ყოველმხრივი განხორციელება, ამასთან იხელმძღვანელოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის დეკემბრის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლაში ჩამოყალიბებული დებულებებით, სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით, რისთვისაც:

— ჩააბას მოსახლეობის ფართო ფენები ბუნებრივი რესურსების დაცვის, რაციონალური გამოყენებისა და კვლავწარმოების მიზნით საზოგადოებრივ საქმიანობაში;

— კოორდინაცია გაუწიოს რესპუბლიკის სახელმწიფო, სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საგანმანათლებლო და პროპაგანდისტულ საქმიანობას ბუნების გამოყენების დარგში;

— განახორციელოს საზოგადოებრივი კონტროლი ბუნებრივ სიმდიდრეთა სწორად გამოყენებისა და დაცვის მდგომარეობისადმი;

— განახორციელოს ღონისძიებანი საზოგადოების ადგილობრივი საბჭოებისა და პირველადი ორგანიზაციების მუშაობის ძირეული გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის;

— რადიკალურად გააუმჯობესოს და ყოველმხრივ გააფართოოს სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოების, სექციების, საზოგადოებრივი კომიტეტების, კლუბებისა და სხვა საზოგადოებრივი ქვედანაყოფების საქმიანობა მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვისათვის, რომელიც ამცირებს ან მთლიანად გამორიცხავს გარემოს გაჭუჭყიანებას;

— გააფართოოს ცოცხალი და არაორგანული ბუნების ძეგლთა გამოვლენის, შესწავლისა და დაცვის სამუშაოები და გააძლიეროს საზოგადოებრივი კონტროლი მათი ტერიტორიის მოვლისადმი;

— მოაწყოს დადგენილი წესით სანერგეები, სახელოსნოები და სხვა საწარმოები, აგრეთვე ფოტომხატვრული ნაწარმის, ფერადი სლაიდებისა და ნაბეჭდი სუვენირების დამზადება;

— ორგანიზაცია გაუწიოს სახელშეკრულებო საწყისებზე მწვანე მშენებლობის, სკვერებისა და პარკების, საცხოვრებელი უბნების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, მრეწველობის, კულტურისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ობიექტების ტერიტორიის გაფორმების კომპლექსურ სამუშაოთა განხორციელებას;

— გაანაწილოს საზოგადოების საწარმოო, სავაჭრო და სხვა სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დადგენილი წესით.

მუხ. ბ

2. საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა გააფართოოს თემატიკა და გაადიდოს ეკოლოგიის საკითხებზე საინფორმაციო, სამეცნიერო-პოპულარული, საგანმანათლებლო და მხატვრული ლიტერატურის ტირაჟი.

3. რჩევა მიეცეთ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს განახორციელონ მწვანე მშენებლობისა და ტერიტორიების გაფორმების სამუშაოები საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების ორგანიზაციებთან დადებულ ხელშეკრულებათა მიხედვით.

4. ბუნების დაცვის პროპაგანდის სამსახურების ფორმირების, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის ხელშეწყობის, საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოების მიზნით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ განიხილონ და გადაწყვიტონ დადგენილი წესით საკითხი საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკურ საბჭოსთან შესაბამის ორგანიზაციათა შექმნის შესახებ და გაითვალისწინონ რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებში მათი შექმნისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებანი, შრომითი და ფინანსური რესურსები.

5. საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურმა საბჭომ ყოველწლიურად, მოყოლებული 1984 წლის 1 იანვრიდან, გადაურიცხოს საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოებას 25 ათასი მანეთი იმ ობიექტების კეთილმოსაწყობად, რომლებსაც ტურისტები ეწვევიან.

6. მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოებისათვის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებში (ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის გარდა) შემოსული მთელი თავისუფალი ფულადი სახსრები გადაირიცხოს საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის მიმდინარე ანგარიშზე.

7. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა განიხილოს საკითხები იმის შესახებ, რომ:

— შეტანილ იქნეს ქალაქ თბილისის ძველი ნაწილის სარესტავრაციო სამუშაოთა გეგმაში საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების საგამოფენო დარბაზის (100-150 კვადრატული მეტრი), კინოგასასინჯი და სალექციო დარბაზების (200-250 კვადრატული მეტრი), ეკოლოგიური ბიბლიოთეკის (100 კვადრატული მეტრი), კინოფოტოლაბორატორიებისა და ფონდსაცავების (200 კვადრატული მეტრი) სადგომები;

— გამოიყოს 1.500 კვადრატული მეტრი სამუშაო ფართობი საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების საწარმოებისათვის;

— აშენდეს დაბა წყნეთში დასასვენებელი ბაზა და ქალაქ თბილისში — ერთი 36-ბინიანი მსხვილბლოკიანი საცხოვრებელი სახლი საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების მუშაკთათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. რესპუბლიკის საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციების, აგრეთვე სამინისტროებისა და უწყებების განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იმას, რომ საჭიროა მიიღონ რაც შეიძლება ენერგიული ზომები, რათა ხელი შეუწყონ საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოებას ბუნების გამოყენების ცოდნის პროპაგანდაში, სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებაში და საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით საზოგადოების უზრუნველყოფაში.

9. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა უზრუნველყონ საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოებისადმი ყოველმხრივი დახმარება ბუნებისდაცვითი სტრატეგიის განხორციელებაში — მასობრივი აგიტაციის საშუალებათა გავრცელებასა და მოსახლეობის ფართო ფენებისათვის მისაწვდომობის უზრუნველყოფაში.

10. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ ჩაატაროს საქვეუწყებო დაწესებულებებში ბუნებისდაცვითი პროპაგანდის საუკეთესო დაყენების დათვალიერება-კონკურსები, გააფართოოს გამოფენების თემატიკა, აამაღლოს ექსპოზიციების ესთეტიკური და აღმზრდელობითი დონე, გაამდიდროს და შეავსოს ბუნებისდაცვითი ლიტერატურა.

11. საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ, რესპუბლიკურმა საზოგადოებამ „ცოდნამ" საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების ადგილობრივ და რესპუბლიკურ სამეცნიერო-ტექნიკურ საბჭოებთან ერთად გააფართოონ ლექციური ბუნებისდაცვითი პროპაგანდა, განავითარონ სახალხო უნივერსიტეტების ქსელი, გამოსცენ შესაბამისი სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა, მოაწყონ კონფერენციები, აამაღლონ ტურისტთა შორის ბუნებისდაცვითი განათლების დონე, მოაწყონ ექსკურსიები და თემატური საღამოები.

12. საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების, რესპუბლიკური ჟურნალების რედაქციებმა:

— ფართო პროპაგანდა გაუწიონ ეკოლოგიურ პუბლიცისტიკას, აქტიურად მიიზიდონ ამ დარგში მუშაობისათვის მეცნიერები და სპეციალისტები, ბუნების ქომაგები, საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების ადგილობრივი და რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოების წევრები;

— შექმნან რუბრიკები ეკოლოგიის შესახებ, სისტემატურად მოაწყონ კონკურსები პრესაში, ტელევიზიასა და რადიოში ბუნების გამოყენების პრობლემათა საუკეთესო გაშუქებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1984 წ. 13 იანვარი № 18

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 7 საქართველოს სსრ სამონადირეო მეურნეობის გაძღოლის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკაში გარკვეული მუშაობა ხორციელდება სამონადირეო მეურნეობის განვითარებისათვის. მთელ რიგ ორგანიზაციულ და ბიოტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებამ ხელი შეუწყო სასარგებლო სახეობათა სანადირო ფაუნის რაოდენობის ერთგვარ გადიდებას. გაძლიერდა ბრძოლა ბრაკონიერობის წინააღმდეგ.

მაგრამ რესპუბლიკაში სამონადირეო მეურნეობის გაძღოლის დონე ჯერ კიდევ არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, რომლებიც ითვალისწინებენ არსებულ შესაძლებლობათა რაც შეიძლება სრულად გამოყენებას ძვირფას სახეობათა სანადირო ფაუნის რაოდენობის გადიდების, სანადირო სავარგულების პროდუქტიულობის ამაღლებისა და უცხოური სამონადირეო ტურიზმის ორგანიზაციისათვის. საკმარისი ყურადღება არ ეთმობა წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვას. ნელა ხორციელდება ნადირ-ფრინველის ხელოვნური მოშენების, ტბორების, წყალსატევების მშენებლობისა და მეთევზეობის პროდუქციის მიღების ღონისძიებანი. გამოყენებული არ არის სამონადირეო მეურნეობის შესაძლებლობანი რესპუბლიკის სასურსათო პროგრამის სარეალიზაციოდ.

დაბალ დონეზე მიმდინარეობს ნადირისა და ფრინველის რაოდენობის აღრიცხვა. არ ხორციელდება ვეტერინარული ზედამხედველობა, გარეულ ცხოველთა ეპიზოოტიებისა და დაავადებების პროფილაქტიკის ღონისძიებანი. სოფლის მეურნეობაში შხამქიმიკატებისა და მინერალური სასუქების შენახვისა და გამოყენებისადმი ჯეროვანი კონტროლის გაუწევლობა დიდ ზიანს აყენებს ფაუნას.

სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები ახალი მიწების ათვისებისას არ ითვალისწინებენ ბუჩქნარით დაფარული ნაკვეთების შენარჩუნებას ძვირფას სახეობათა სანადირო ფაუნის თავშესაფრად. სამელიორაციო ღონისძიებანი ხორციელდება სამონადირეო ორგანიზაციებთან წინასწარ შეუთანხმებლად, რაც ზოგ შემთხვევაში არსებითს ზარალს აყენებს სანადირო სავარგულებს.

სერიოზული ნაკლოვანებებია ბეწვეულის დამზადების საქმეში: არ სრულდება სახელმწიფო გეგმები, არ ხდება ბეწვეულის დამზადება კონტრაგენტულ საწყისებზე, მისი დამზადების გეგმები დგება სამონადირეო ორგანიზაციებთან შეუთანხმებლად.

სამონადირეო ორგანიზაციები ნადირობისმცოდნეთა კვალიფიციური კადრების მწვავე ნაკლებობას განიცდიან. საკმარისად არაა დაცული „სსრ კავშირის წითელ წიგნსა“ და „საქართველოს სსრ წითელ წიგნში“ შეტანილი იშვიათი და გადაშენების პირას მისული ცხოველები. არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ცხოველთა სამყაროს დაცვის საკითხების პროპაგანდა. მთლიანად არ არის გამოყენებული ამ მიზნით პრესის, რადიოს, ტელევიზიის, კინოსა და მხატვრული ლიტერატურის შესაძლებლობანი.

სამონადირეო მეურნეობის გაძღოლის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს (ამხ. ჭალაგანიძე):

— განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი ხოხბის, კაკბის, კურდღლის, შვლის, გარეული ღორისა და ირმის, როგორც ყველაზე ძვირფას სახეობათა სანადირო ფაუნის, მასობრივი კვლავწარმოებისათვის, ფართოდ შემოიღოს პრაქტიკაში ნადირ-ფრინველის დაჭერა და განსახლება რესპუბლიკის სანადირო სავარგულებში;

— განახორციელოს ყველა სამონადირეო-კვლავწარმოებითი ღონისძიება, აგრეთვე სანადირო ფაუნის აღრიცხვის ღონისძიებანი სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან მჭიდრო კონტაქტით;

— შეიმუშაოს და შეათანხმოს ძვირფას სახეობათა სანადირო ფაუნის ბინადრობის პირობების გაუმჯობესების, მათ შორის ნადირ-ფრინველის ხელოვნური მოშენების ორგანიზაციის, აგრეთვე სანადირო ფაუნის მარაგის რაციონალური ექსპლუატაციისა და სანადირო სავარგულების პროდუქტიულობის ამაღლების ბიოტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელების საუწყებათაშორისო გეგმა;

— შეიმუშაოს და განახორციელოს გადაშენების პირას მისული ნადირ-ფრინველის (ნიამორი, დურაჯი და სხვ.) კვლავწარმოების რეალური ღონისძიებანი;

— მიწათმოსარგებლეებთან შეთანხმებით ყოველწლიურად დააწესოს სანადირო სავარგულების ტერიტორიაზე დროებითი სვენების ზონები გარეული ნადირ-ფრინველის გამრავლების პერიოდისათვის;

— მიიღოს ზომები ნადირობის წესების დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად და სახელმწიფო სანადირო ფონდის დატაცების თავიდან ასაცილებლად, პასუხისგებაში მისცეს ის პირები, რომლებიც ეწევიან უკანონო ნადირობას, აგრეთვე იყენებენ ნადირობის აკრძალულ ხერხებს;

— სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომებთან ერთად საჭიროების კვალობაზე შექმნას რაიონებში სანადირო აღკვეთილები;

— გააძლიეროს ტყის დაცვის ორგანოთა პასუხისმგებლობა სანადირო ფაუნის დაცვა-შენარჩუნებისათვის;

— გაითვალისწინოს სატყეო მეურნეობათა საწარმოო გეგმებში სასარგებლო ნადირ-ფრინველის საკვები ბაზის, აგრეთვე ბუდობისა და დაცვის პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელება;

— შექმნას სატყეო მეურნეობებში, სადაც არის საჭირო პირობები, კომპლექსური სატყეო-სამონადირეო მეურნეობანი.

— საჭიროების კვალობაზე გაითვალისწინოს დარგის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმათა პროექტებში სახსრების გამოყოფა ახალ სამონადირეო მეურნეობათა შესაქმნელად და არსებულის კეთილმოსაწყობად საოპერაციო ხარჯებისათვის;

— გაითვალისწინოს სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს ხაზით კაპიტალურ დაბანდებათა გეგმებში მეთერთმეტე ხუთწლედში არსებული მონადირის სახლების რეკონსტრუქცია და მეტყევის სახლების მშენებლობა გარდაბნისა და ყორულის სახელმწიფო სატყეო-სამონადირეო მეურნეობებში;

— ბრაკონიერობის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად გაითვალისწინოს სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოსათვის საჭირო ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გამოყოფა.

2. საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრომ (ამხ. ჭალაგანიძე) და საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირმა (ამხ. მგელიაშვილი) განახორციელონ გარეული ნადირ-ფრინველის დაცვისა და კვლავწარმოების ღონისძიებანი, № 1 დანართის თანახმად.

3. რესპუბლიკის სასურსათო პროგრამის რეალიზაციის მიზნით საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრომ (ამხ. ჭალაგანიძე):

— შეიმუშაოს და განახორციელოს 1984-1985 წლებში სამონადირეო მეურნეობებში დამხმარე სასოფლო მეურნეობის გაფართოებისა და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებანი სამინისტროსათვის დაწესებული საშტატო რიცხოვნობის, ზღვრული ასიგნებებისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში;

— შექმნას კაცობურის სახელმწიფო სამონადირეო მეურნეობაში გარეული ღორის მოსაშენებელი მეურნეობა 50 სულისათვის;

— შექმნას ივრის სახელმწიფო სატყეო-სამონადირეო მეურნეობაში 10 ტონა სიმძლავრის და გარდაბნის სახელმწიფო სატყეო-სამონადირეო მეურნეობაში 3 ტონა სიმძლავრის სატბორე მეურნეობა;

— მოაწყოს ყორულის სახელმწიფო სატყეო-სამონადირეო მეურნეობაში კაკბის ექსპერიმენტული მოშენება ვოლიერებში (მწარმოებლობა — 500 ფრთა კაკაბი წელიწადში).

4. „ნადირ-ფრინველის ხელოვნური მოშენების განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ დადგენილების შესასრულებლად;

— საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირმა (ამხ. მგელიაშვილი) უზრუნველყოს 1984-1985 წლებში ამიერკავკასიური ხოხბის მოსაშენებელი ექსპერიმენტული ფერმის მშენებლობა (მწარმოებლობა — 50 ათასი ფრთა ხოხობი წელიწადში);

— საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ (ამხ. ხარატიშვილი) დაამთავროს ამიერკავკასიური ხოხბის მოსაშენებელი ექსპერიმენტული ფერმის მშენებლობა 1985 წელს.

5. საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირმა (ამხ. მგელიაშვილი):

— ყოველწლიურად დააწესოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირში ახალ წევრთა მიღების გეგმა სავარგულების გამტარუნარიანობის გათვალისწინებით;

— სერიოზული ყურადღება დაუთმოს სასროლ-სამონადირეო და სათევზაო სპორტის განვითარებას;

— განახორციელოს თევზსაშენ-სამელიორაციო სამუშაოები კავშირისათვის მიჩენილი წყალსატევების პროდუქტიულობის ამაღლების, მოზარდეულის გამოსაყვანად და წყალსატევებში თევზის მოსაშენებლად ხელოვნური საქვირითო და საინკუბაციო საამქროების მოწყობის მიზნით;

— უზრუნველყოს ნავმისადგომების მშენებლობა, ნავებისა და სხვა საჭირო ინვენტარის შეძენა, აგრეთვე ბაზების კეთილმოწყობა;

აამენოს 1984 წელს ჯანდარის ტბაზე უმარტივესი ტიპის საინკუბაციო პუნქტი იმ ვარაუდით, რომ შემდგომ საექსპლუატაციოდ გადასცეს გამოსაზრდელი ტბორები:

— განახორციელოს 1984-1985 წლებში გარდაბნისა და მაიაკოვსკის რაიონებში ნუტრიის მოსაშენებელი ფერმების მშენებლობა სადედე ჯგუფის 600 სულზე გათვალისწინებით;

— გაუწიოს სამომხმარებლო კოოპერაციის რაიონულ ორგანიზაციებს საჭირო დახმარება ბეწვეულის სახელმწიფო შესყიდვის ორგანიზაციასა და განხორციელებაში.

დაუმტკიცდეს საქართველოს სსრ მონადირეთა და მეთევზეთა კავშირს 1984-1985 წლებისათვის ხორცისა და სასაქონლო თევზის წარმოების დავალება, № 2 დანართის თანახმად.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა (ამხ. ჩხეიძე):

— გაითვალისწინოს უმაღლესი სასწავლებლების ბიოლოგიური განათლების მქონე კურსდამთავრებულთა განაწილებისას მათი გაგზავნა საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის განკარგულებაში წარდგენილი განაცხადების შესაბამისად, რათა ისინი გამოყენებულ იქნენ ნადირობისმცოდნეებად;

— მოყოლებული 1984 წლიდან, ყოველწლიურად გამოუყოს საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირს ხოხბისა და თევზისათვის საჭირო რაოდენობის კომბინირებული საკვები ნორმატივების მიხედვით, ხოლო 1985 წლიდან ხოხბისათვის — იმ ოდენობით, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 28 იანვრის № 73 დადგენილების № 2 დანართით;

— გაითვალისწინოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების პროექტებში ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გამოყოფა საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირისათვის.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა (ამხ. ჩხეიძე) და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ (ამხ. პატეიშვილი) გაუწიონ საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირს დახმარება ამიერკავკასიური ხოხბის მოსაშენებელი ექსპერიმენტული ფერმის მშენებლობისათვის ლიმიტებისა და გრძელვადიანი ბანკის კრედიტის გამოყოფაში.

8. საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტმა (ამხ. კაჭარავა), საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა (ამხ. მგელაძე) და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრომ (ამხ. ჭალაგანიძე) გაუწიონ საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის პრეზიდიუმს ქმედითი დახმარება ამიერკავკასიური ხოხბის მოშენების ორგანიზაციულ-ტექნიკურ საკითხთა გადაწყვეტაში.

9. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა (ამხ. მგელაძე) შეიმუშაოს და დანერგოს ქმედითი ვეტერინარული ზედამხედველობა რესპუბლიკაში გარეული ცხოველებისადმი, მიიღოს გადამწყვეტი ზომები სოფლის მეურნეობაში შხამქიმიკატებისა და მინერალური სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუქების სწორი გამოყენების უზრუნველსაყოფად, მკაცრად დაიცვას მათი შენახვისა და გამოყენების აგროტექნიკური წესები იმ ვარაუდით, რომ ზიანი არ მიაყენოს ფაუნას.

10. ცეკავშირის გამგეობამ (ამხ. შავიშვილი) უზრუნველყოს ბეწვეულის შესყიდვის გეგმების უცილობლივ შესრულება, არ დაუშვას მისი შესყიდვის გეგმების შედგენა საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროსთან და საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირთან შეუთანხმებლად.

11. ნებადართულ იქნეს საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე ნადირობის სეზონის დროს ნადირობა მხოლოდ შაბათობით, კვირაობით და უქმე დღეებში.

სანადირო ფაუნის რაციონალური გამოყენების მიზნით შემოღებულ იქნეს 1984 წლის 1 ნოემბრიდან ლიცენზიით ნადირობა ძვირფას სახეობათა ბეწვიან ნადირზე (კვერნა, ნუტრია, მელა, ციყვი).

დამტკიცდეს ნანადირევი ძვირფას სახეობათა ბეწვიანი ნადირის ნუსხა, რომლის ტყავი აუცილებლად უნდა ჩაბარდეს სახელმწიფოს, № 3 დანართის თანახმად.

12. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტმა (ამხ. ყურაშვილი) და ბოტანიკის ინსტიტუტმა (ამხ. ნახუცრიშვილი) გაითვალისწინონ მეცნიერული კვლევის პროგრამებში საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით სამეურნეო-სახელშეკრულებო თემები სამონადირეო მეურნეობის გაძღოლის, ნადირ-ფრინველის მოშენების, აღრიცხვის, აკლიმატიზაციისა და რეაკლიმატიზაციის პრობლემებზე, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სამონადირეო მეურნეობის ინტენსიფიკაციის საკითხთა შესწავლას.

13. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ორი თვის ვადაში გადაწყვიტოს საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის საეგერო სამსახურის შეიარაღების საკითხი, ამასთან მხედველობაში იქონიოს, რომ საჭიროა შემდგომ გაძლიერდეს ბრძოლა ბრაკონიერობის წინააღმდეგ და გაუმჯობესდეს რესპუბლიკის ფაუნის დაცვა.

14. საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტმა (ამხ. კაჭარავა), საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ (ამხ. გვეტაძე) და მათმა ადგილობრივმა ორგანოებმა გაუწიონ რესპუბლიკის სამონადირეო ორგანიზაციებს საჭირო დახმარება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ნადირობის დადგენილი ვადებისა და წესების დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, „სსრ კავშირის წითელ წიგნსა“ და „საქართველოს სსრ წითელ წიგნში“ შეტანილი იშვიათი და გადაშენების პირას მისული ნადირ-ფრინველის დაცვის საქმეში.

15. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა (ამხ. მგელაძე) და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრომ (ამხ. ჭალაგანიძე) ახალი მიწების ათვისების, ჭაობების დაშრობის, ბუჩქნარების ამოძირკვის სამუშაოთა პროექტების შემუშავებისა და განხორციელების და სხვა სამელიორაციო სამუშაოთა წარმოების დროს გაითვალისწინონ და

უზრუნველყონ ლანდშაფტებისა და გარეულ ცხოველთა ბინადრობის ადგილების დაცვა-შენარჩუნება.

16. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ (ამხ. ხარატიშვილი) განახორციელოს არსებული მონადირის სახლების რეკონსტრუქცია და მეტყევის სახლების მშენებლობა გარდაბნისა და ყორულის სახელმწიფო სატყეო-სამონადირეო მეურნეობებში.

17. ნება დაერთოს საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის პრეზიდიუმს გამოსცეს წელიწადში ორჯერ შეკვეთის საწყისებზე სპეციალური ლიტერატურის კრებულები 5-6 ნაბეჭდი თაბახის მოცულობით.

18. საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა უზრუნველყოს მე-17 პუნქტით გათვალისწინებული სპეციალური ლიტერატურის კრებულების გამოცემა კომიტეტისათვის დაწესებული სხვადასხვა ნაბეჭდი გამოცემების გეგმის და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ ამ მიზნით გამოყოფილი ქაღალდის ანგარიშში.

19. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა:

— განიხილონ სამონადირეო მეურნეობის გაძღოლის საკითხები, შეიმუშაონ და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მშრომელთა ფართო მასების აქტიურ ჩაბმას ცხოველთა სამყაროს დაცვის საქმეში;

— უზრუნველყონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 11 ივლისის № 361 დადგენილების შესრულება გარეულ ცხოველთათვის საკვები ბაზის შექმნის ნაწილში და გამოუყონ სამონადირეო მეურნეობებს მათთვის მიჩენილ ყოველ 5 ათას ჰექტარზე არანაკლებ 2 ჰექტარი სახნავი მიწა.

20. საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, რესპუბლიკური და რაიონული გაზეთების რედაქციებმა, საქართველოს სსრ მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის პრეზიდიუმმა, რესპუბლიკურმა საზოგადოებამ „ცოდნამ“ და საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოებამ გაშალონ ფართო პროპაგანდა და აღმზრდელობით-ახსნაგანმარტებითი მუშაობა ცხოველთა სამყაროს დაცვისა და მისი რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხებზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჩითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1984 წ. 13 იანვარი № 19

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1984 წლის 13 იანვრის № 19 დადგე-
ნილების დანართი № 1

# დავალება

**საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის მიერ გარეული ნადირ-ფრინველის დაცვისა და კვლავწარმოებისა 1984-1985 წლებისათვის**

| | ზომის ერთეული | 1984 წელი | | 1985 წელი | |
|---|---|---|---|---|---|
| | | საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო | მონადირეთა და მეთევზეთა კავშირი | საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო | მონკავშირი |
| გარეული ნადირ-ფრინველის დაცვისა და კვლავწარმოების ბიოტექნიკური ღონისძიებანი | ათასი მანეთი | 130,0 | 70,0 | 135,0 | 75,0 |
| მათ შორის: | | | | | |
| გარეულ ცხოველთა რაოდენობის აღრიცხვის ჩატარება | „ | 1,5 | 7,0 | 0,32 | 7,5 |
| საკვების დამზადება გარეული ნადირ-ფრინველისათვის | „ | 28,0 | 22,3 | 16,4 | 23,2 |
| გარეული ნადირის განსახლება | სული | 20 | 44 | 20 | 50 |
| გარეული ფრინველის განსახლება | ფრთა | 50 | — | 50 | 1000 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1984 წლის 13 იანვრის № 19 დადგე-
ნილების დანართი № 2

# დავალება

## საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის მიერ ხორცისა და სასაქონ-ლო თევზის წარმოებისა

(ცენტნერი)

| წელი | წარმოების დავალება | |
|---|---|---|
| | ხორცისა | თევზისა |
| 1984 | 1200 | 1900 |
| 1985 | 1400 | 2000 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1984 წლის 13 იანვრის № 19 დადგენილების დანართი № 3

# ნ უ ს ხ ა

ნანადირევი ძვირფას სახეობათა ბეწვიანი ნადირისა, რომლის ტყავი აუცილებლად უნდა ჩაბარდეს სახელმწიფოს

კვერნა

ნუტრია

მელა

ციყვი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 8 წავკისისხევის პალეონტოლოგიური ნამარხებისა და უნიკალური ფლორის ბუნების ძეგლად გამოცხადების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ წავკისისხევის (ლელვთახევის) პალეონტოლოგიურ ნამარხებსა და უნიკალურ ფლორას დიდი სამეცნიერო და შემეცნებითი მნიშვნელობა აქვთ.

წავკისისხევის იქთიოფაუნის ნამარხების ასაკი 40 მილიონამდე წლით განისაზღვრება და უძველესია მთელს კავკასიაში, ხოლო აქ გავრცელებული მცენარეული საფარი წარმოდგენილია პლიოცენური დროის სავანის ტიპის მცენარეულობით — მდელოს, მდელო-სტეპის, სტეპისა და ფრიგანას მცენარეული კომპლექსით, ქართული მაყვლის, ულუმბოს, ასტრაგალუსისა და ბეგქონდარას ენდემებით, აკაკით, ლელვითა და სხვა.

ხეობის დათვალიერების ინტერესს იჩენს მრავალი საბჭოთა თუ უცხოელი მეცნიერი.

აღნიშნულის მიუხედავად, როგორც ნამარხის, ისე მისი მიმდებარე ტერიტორია დანაგვიანებულია გასულ წლებში აქ არსებული ქვასათლელისა და სხვა ნარჩენებით, გადაქცეულია უკანონო ნაგავსაყრელად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გამოცხადდეს რესპუბლიკური მნიშვნელობის ბუნების ძეგლად წავკისისხევის (ლელვთახევის) მარცხენა ნაპირი (ხევის პირიდან 50 მეტრი სიგანის ზოლი) ბოტანიკის ინსტიტუტის შენობიდან ხევის აღმა მიმართულებით, ძველ, ისტორიულ ხიდამდე, ე. წ. „აქველდუკამდე".

2. დაევალოს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მწვანე მშენებლობისა და საბაღე-საპარკე მეურნეობის საწარმოო სამმართველოს წავკისისხევის პალეონტოლოგიური ნამარხებისა და უნიკალური ფლორის ძეგლთა დაცვა, ძეგლისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის სათანადო მდგომარეობაში მოყვანა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბუნების დაცვის კომისიის მითითებათა შესაბამისად და შემდგომ იქ სანიტარიული წესრიგის უზრუნველყოფა.

3. კონტროლი ამ დადგენილების შესრულებისადმი დაევალოს საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჩითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1984 წ. 16 იანვარი, № 28

## 9 საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1-ლი პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 24 ივნისის № 351 დადგენილებისა „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის საკითხები".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჩითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1984 წ. 16 იანვარი, № 29

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1984 წლის 16 იანვრის № 29
დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ

1. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი არის რესპუბლიკური ორგანო, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ყოველმხრივ გამოყენების დარგში.

2. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებებით, ბრძანებებითა და ინსტრუქციებით და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორ გამოყენებას კომიტეტის სისტემის დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

3. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მთავარი ამოცანები ის არის, რომ:

— განსაზღვროს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან, საქართველოს სსრ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად რესპუბლიკაში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ძირითადი მიმართულებანი;

— შეიმუშაოს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გეგმების, როგორც რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის შემადგენელი ნაწილის, პროექტები;

— ორგანიზაცია გაუწიოს კომპლექსური და მიზნობრივი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების შემუშავებას;

— აამაღლოს მეცნიერულ გამოკვლევათა ეფექტიანობა; უზრუნველყოს მომზადება და კონტროლი ახალ ტექნოლოგიურ პროცესთა ნახევრადსამრეწველო გამოცდებისადმი, ახალი ტექნიკის მთავარი ნიმუშების დამზადებისა და გამოცდისადმი, ამ ნიმუშების სერიული წარმოებისათვის საჭირო დოკუმენტაციის შემუშავებისადმი სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის დაჩქარების მიზნით;

— კონტროლი გაუწიოს უმნიშვნელოვანეს მეცნიერულ ნამუშევართა შედეგების დანერგვას სახალხო მეურნეობაში;

— მოამზადოს მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს სხდომები და კონტროლი გაუწიოს მის გადაწყვეტილებათა რეალიზაციას;

მუხ. 9 ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოამზადოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან, რესპუბლიკის შესაბამის სამინისტროებთან, უწყებებთან, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ერთად წინადადებანი წარმოებასთან მეცნიერების პარტნიორობის შესახებ;

— კოორდინაცია გაუწიოს სამუშაოებს მართვის რესპუბლიკური ავტომატიზებული სისტემის „საქართველოს" შესამუშავებლად;

— აამაღლოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელი კადრების კვალიფიკაცია;

— ორგანიზაცია გაუწიოს მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის სისტემასა და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდას;

— განახორციელოს კავშირურთიერთობა საზღვარგარეთის ქვეყნებთან სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის საკითხებზე;

— კოორდინაცია გაუწიოს საპატენტო-სალიცენზიო მუშაობას რესპუბლიკაში.

4. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

— ტექნიკურ-ეკონომიკურ შეფასებას მისცემს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგებში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დონეს, შეიმუშავებს და განახორციელებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან, რესპუბლიკის სამინისტროებთან და უწყებებთან, საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებულ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ერთად ღონისძიებებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის და მოამზადებს წინადადებებს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ძირითად მიმართულებათა შესახებ;

— შეიმუშავებს და წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა გეგმების პროექტებს; შეიტანს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების სახელმწიფო გეგმის პროექტში მის მთავარ შემადგენელ ნაწილად სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრამებს, რომლებიც ითვალისწინებენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სადარგთაშორისო პრობლემათა გადაჭრის დავალებებს; შეიმუშავებს ყოველი ხუთწლედისათვის ზემოაღნიშნული პროგრამების ნუსხას ხუთწლედის დაწყებამდე წელიწად-ნახევრით ადრე;

— შეიმუშავებს და წარუდგენს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის პროექტში შესატანად წინადადებებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დამთავრებულ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა, საპროექტო-საკონსტრუქტორო ნამუშევართა, გამოთვლითი ტექნიკისა და მართვის ავტომატიზებული სისტემების სამუშაოთა დანერგვის შესახებ;

— მონაწილეობას მიიღებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ მეცნიერების განვითარებისათვის კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობის გამო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების წინადადებათა განხილვაში;

— კოორდინაციას გაუწევს სამუშაოებს სახალხო მეურნეობის მართვის რესპუბლიკური და დარგთაშორისი ავტომატიზებული სისტემების შესამუშავებლად და დასანერგად, აგრეთვე გამოთვლითი ცენტრების, მათ შორის კოლექტიური სარგებლობის გამოთვლითი ცენტრების მუშაობას;

— შეადგენს დარგთაშორისი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების დავალებათა და სამუშაოთა ნუსხებს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული შემსრულებელი ორგანიზაციების, გაერთიანებებისა და საწარმოების მიხედვით, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად;

— განიხილავს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების ორგანიზაციების სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა გეგმების პროექტებს და წარუდგენს თავის წინადადებებს შესაბამის საკავშირო უწყებებს;

— შეიმუშავებს საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა გეგმების პროექტების საფუძველზე ასპირანტურის მეშვეობით სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტებს, შეიმუშავებს ღონისძიებებს მათი მომზადებისა და გამოყენების გაუმჯობესებისათვის;

— განახორციელებს ღონისძიებებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელი კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;

— შეიმუშავებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად მიზნობრივ კომპლექსურ პროგრამებს და სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად — სამუშაოთა კომპლექსურ პროგრამებს უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო-ტექნიკურ პრობლემათა გადასაჭრელად; შექმნის პროგრამების მიხედვით საუწყებათაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ საბჭოებს; კონტროლს გაუწევს ამ სამუშაოთა მიმდინარეობას და მიიღებს საჭირო ზომებს მათი შესრულების და სახალხო მეურნეობაში ზემოაღნიშნულ სამუშაოთა შედეგების გამოყენების უზრუნველსაყოფად;

— საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ სახმომარაგებასთან ერთად შეიმუშავებს ღონისძიებებს სამეცნიერო დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად და მეცნიერული კვლევისათვის საჭირო სამამულო და საზღვარგარეთული წარმოების უნიკალური მოწყობილობით, აპარატურით, სპეციალური მასალებით მათ უზრუნველსაყოფად;

— მონაწილეობას მიიღებს სამეცნიერო დაწესებულებებისათვის იმპორტის ხაზით მოწყობილობის, ხელსაწყოებისა და მასალების შესასყიდად ასიგნებათა მოცულობის შესახებ სამინისტროებისა და უწყებების წინადადებათა განხილვაში და საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს შორის ამ ასიგნებათა განაწილებაში;

— კოორდინაციას გაუწევს რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა საქმიანობას ერთიანი შეკვეთა-განრიგის საფუძველზე ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნის, ათვისებისა და დანერგვისათვის, აგრეთვე სამინისტროთა

და უწყებათა საქმიანობას მთლიანად დამთავრებულ და შემკვეთის მიერ მიღებულ სამუშაოთათვის ანაზღაურების სისტემაზე სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა გადასაყვანად;

— ორგანიზაციას გაუწევს მშენებარე ან სარეკონსტრუქციო უმნიშვნელოვანესი სამრეწველო ობიექტების პროექტების ტექნოლოგიური ნაწილის ექსპერტიზას;

— განახორციელებს ღონისძიებებს რესპუბლიკაში სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის სისტემის განვითარებისათვის და მეთოდურ ხელმძღვანელობას გაუწევს მათ შესრულებას; კოორდინაციას გაუწევს საქმიანობას სამეცნიერო-ტექნიკური პროპაგანდის დარგში;

— განახორციელებს მეთოდურ ხელმძღვანელობას საპატენტო-სალიცენზიო მუშაობისადმი რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ ორგანიზაციებში;

— შეადგენს რესპუბლიკური და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროთა და უწყებათა მიერ ლიცენზიების გაყიდვის გეგმის პროექტს;

— შეადგენს და წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად საქართველოს სს რესპუბლიკაში სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციების, სიმპოზიუმებისა და თათბირების ჩატარების წლიური გეგმების პროექტებს;

— ყოველწლიურად შეადგენს და წარუდგენს სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს რესპუბლიკის განაცხადებს საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მიერ აქტუალურ პრობლემებზე დამატებით სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა განხორციელების შესახებ, რომელთა შესრულების საჭიროება წარმოიქმნება წლიური გეგმების დამტკიცების შემდეგ;

— შექმნის ასიგნებათა რეზერვს:

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რესპუბლიკის მეცნიერების მუშაკთა რიცხოვნობისა და ხელფასის ფონდის რეზერვიდან სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების, მუშაკთა რიცხოვნობისა და ხელფასის ფონდისათვის იმ დანახარჯების საერთო მოცულობის 2 პროცენტამდე ოდენობით, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სს რესპუბლიკისათვის სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებით;

— რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ერთიანი ფონდის ასიგნებებიდან 5 პროცენტამდე მოცულობით;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რეზერვიდან;

ასიგნებებიდან, რომლებსაც გამოუყოფს საქართველოს სს რესპუბლიკას ცენტრალიზებული წესით სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი დამატებითი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განსახორციელებლად.

აღნიშნული რეზერვი საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის განკარგულებაშია და გამოიყენება მისი დადგენილებების

მეცნ. ბიბლიოთეკა

და უწყებათა საქმიანობას მთლიანად დამთავრებულ და შემკვეთის მიერ მიღებულ სამუშაოთათვის ანაზღაურების სისტემაზე სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა გადასაყვანად;

— ორგანიზაციას გაუწევს მშენებარე ან სარეკონსტრუქციო უმნიშვნელოვანესი სამრეწველო ობიექტების პროექტების ტექნოლოგიური ნაწილის ექსპერტიზას;

— განახორციელებს ღონისძიებებს რესპუბლიკაში სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის სისტემის განვითარებისათვის და მეთოდურ ხელმძღვანელობას გაუწევს მათ შესრულებას; კოორდინაციას გაუწევს საქმიანობას სამეცნიერო-ტექნიკური პროპაგანდის დარგში;

— განახორციელებს მეთოდურ ხელმძღვანელობას საპატენტო-სალიცენზიო მუშაობისადმი რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ ორგანიზაციებში;

— შეადგენს რესპუბლიკური და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროთა და უწყებათა მიერ ლიცენზიების გაყიდვის გეგმის პროექტს;

— შეადგენს და წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად საქართველოს სს რესპუბლიკაში სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციების, სიმპოზიუმებისა და თათბირების ჩატარების წლიური გეგმების პროექტებს;

— ყოველწლიურად შეადგენს და წარუდგენს სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს რესპუბლიკის განაცხადებს საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მიერ აქტუალურ პრობლემებზე დამატებით სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა განხორციელების შესახებ, რომელთა შესრულების საჭიროება წარმოიქმნება წლიური გეგმების დამტკიცების შემდეგ;

— შექმნის ასიგნებათა რეზერვს:

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რესპუბლიკის მეცნიერების მუშაკთა რიცხოვნობისა და ხელფასის ფონდის რეზერვიდან სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების, მუშაკთა რიცხოვნობისა და ხელფასის ფონდისათვის იმ დანახარჯების საერთო მოცულობის 2 პროცენტამდე ოდენობით, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სს რესპუბლიკისათვის სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებით;

— რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ერთიანი ფონდის ასიგნებებიდან 5 პროცენტამდე მოცულობით;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რეზერვიდან;

ასიგნებებიდან, რომლებსაც გამოუყოფს საქართველოს სს რესპუბლიკას ცენტრალიზებული წესით სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი დამატებითი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განსახორციელებლად.

აღნიშნული რეზერვი საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის განკარგულებაშია და გამოიყენება მისი დადგენილებების

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანახმად. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი ყოველწლიურად ჩააბარებს ანგარიშს აღნიშნული რეზერვის ხარჯვის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

— დაუწესებს რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებებს მათთან შეთანხმებით დამატებითს დავალებებს უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა განსახორციელებლად, რომელთა საჭიროება წარმოიქმნება წლის განმავლობაში, მათი დამუშავების დაჩქარების და სახალხო მეურნეობაში აღნიშნულ სამუშაოთა შედეგების დანერგვის მიზნით;

— კოორდინაციას გაუწევს რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სამეცნიერო-ტექნიკურ კავშირურთიერთობას საზღვარგარეთის ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

— მოაწყობს თემატურ კონკურსებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების ინტენსიფიკაციის საკითხებზე;

— ხელმძღვანელობას გაუწევს კომიტეტის საქვეუწყებო ორგანიზაციების: სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის, საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიკურ გამოკვლევათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის და საქართველოს გ. შ. მიქელაძის სახელობის რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკის საქმიანობას.

5. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს უფლება ენიჭება:

— შეამოწმოს რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებში, სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებებსა და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებში სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა, სახალხო-სამეურნეო პრობლემების გადაჭრის მიზნობრივ პროგრამათა შესრულება და წარმოებაში მათი შედეგების დანერგვის ეფექტიანობა;

— კოორდინაცია გაუწიოს სამუშაოებს საზღვარგარეთის ქვეყნებთან სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის დარგში; განახორციელოს კონტროლი თანამშრომლობის შედეგების რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში გამოყენების ეფექტიანობისადმი;

— განახორციელოს კონტროლი სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადებისადმი;

— განახორციელოს კონტროლი მეცნიერების, აგრეთვე სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ორგანოების განსავითარებლად გამოყოფილ ასიგნებათა გამოყენებისადმი;

— განახორციელოს კონტროლი სამამულო და საზღვარგარეთული უნიკალური სამეცნიერო მოწყობილობის შეძენისა და შესყიდული მოწყობილობის რაციონალური გამოყენებისადმი;

— მოისმინოს სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა მოხსენებანი და ინფორმაციები ზემოაღნიშნულ საკითხებზე, აგრეთვე მათთან შეთანხმებით — საწარმოების, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტ-

რუქტორო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოხსენებანი და ინფორმაციები და მიიღოს შემოწმების შედეგების მიხედვით შესრულებისათვის სავალდებულო გადაწყვეტილებანი;

— ორგანიზაცია გაუწიოს და განახორციელოს საჭირო შემთხვევებში სამეცნიერო ექსპერტიზა სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა შესრულებასთან და სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

— მიიღოს რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ შესრულებისათვის სავალდებულო გადაწყვეტილებანი თეორიული ან პრაქტიკული მნიშვნელობის არმქონე, გაუმართლებლად დუბლირებულ ან არააქტუალურ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა განხორციელებისა და დაფინანსების შეწყვეტის შესახებ და ამასთან დაკავშირებით განთავისუფლებული სახსრები ჩარიცხოს საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის სარეზერვო ფონდში, რის შესახებაც აცნობოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს;

— საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან, შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეისწავლოს და წარუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და გამოთვლითი ცენტრების სტრუქტურისა და ქსელის სრულყოფის, ნაკლებეფექტიანი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და გამოთვლითი ცენტრების ლიკვიდაციის ან ახლის ორგანიზაციის შესახებ;

— მიიღოს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებებისაგან, საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსაგან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისაგან, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან საჭირო მასალები კომიტეტისათვის დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად მოქმედი ანგარიშგების ფარგლებში;

— მოაწყოს კოლექტიური სარგებლობის რესპუბლიკური საუწყებათაშორისო ცენტრები უნიკალური აპარატურით, განახორციელოს მათი ხელმძღვანელობა და კოორდინაცია გაუწიოს მათს საქმიანობას;

— შექმნას სამეცნიერო საბჭოები უმნიშვნელოვანეს დარგთაშორის სამეცნიერო-ტექნიკურ პრობლემებზე, დროებითი კომისიები და საექსპერტო ჯგუფები და მიიზიდოს მეცნიერები და სპეციალისტები მათ მუშაობაში მონაწილეობისათვის;

— მიიზიდოს სამეცნიერო-ტექნიკური და გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოებანი რესპუბლიკაში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ძირითად მიმართულებათა შესამუშავებლად, სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვისადმი კონტროლის განსახორციელებლად, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის და მეცნიერების, ტექნიკის მიღწევებისა და მოწინავე საწარმოო-ტექნიკური გამოცდილების პროპაგანდისათვის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად:

— მიიღოს კომიტეტის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე დადგენილებანი, რომლებიც სავალდებულოა რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებებისათვის.

6. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი იქმნება შემდეგი შემადგენლობით: კომიტეტის თავმჯდომარე, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რაც შემდგომ შეაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად, თავმჯდომარის მოადგილეები, კოლეგიის წევრები და კომიტეტის წევრები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, მათ შორის კომიტეტის წევრები — წამყვანი მეცნიერები და მრეწველობის ხელმძღვანელები, რომლებიც კომიტეტის აპარატის შტატში არ შედიან.

7. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომიტეტისა და მისი საქვეუწყებო დაწესებულება-ორგანიზაციების საქმიანობას, გამოსცემს კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე და შესასრულებლად და ამოწმებს მათს შესრულებას; დადგენილი წესით ქმნის, აუქმებს და გარდაქმნის საქვეუწყებო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს; ამტკიცებს და ცვლის მეცნიერებისა და ტექნიკის უმნიშვნელოვანეს სადარგთაშორისო პრობლემათა სამეცნიერო საბჭოების, სტრუქტურული ქვედანაყოფების, საქვეუწყებო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების დებულებებს; ნიშნავს თანამდებობაზე და ათავისუფლებს თანამდებობიდან კომიტეტის ცენტრალური აპარატისა და უშუალოდ მისდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაკებს დადგენილი ნომენკლატურის შესაბამისად.

8. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის სტრუქტურასა და მუშაკთა რიცხოვნობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

9. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

## 10 საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერების მართვის სისტემის სრულყოფისა და რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის შესახებ

სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის რეალიზაციის საქმეში სოფლის მეურნეობის მეცნიერების როლის ამაღლების, აგრეთვე სამეცნიერო სამუშაოებისადმი ხელმძღვანელობის სრულყოფის, აგროსამრეწველო კომპლექსში მათი დანერგვის მიზნით და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეექვსე (1982 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის წინადადება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერების მართვის სისტემის სრულყოფისა და რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის შესახებ, რომელიც შეთანხმებულია სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან, ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, და ექსპერიმენტის წესით დაეკისროს საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის საქვეუწყებო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებების ხელმძღვანელობა ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილების პრეზიდიუმს, ამასთან გადაეცეს მას მუშაკთა შესაბამისი საშტატო რიცხოვნობა, ხელფასის ფონდი და ზღვრული ასიგნებანი პრეზიდიუმის აპარატის იმ ნაწილის შესანახად, რომელსაც დაევალა სამეცნიერო დაწესებულებათა მართვა, დანართის თანახმად.

დანართში ჩამოთვლილ სამეცნიერო დაწესებულებათა დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა განხორციელდეს საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის მეშვეობით რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯზე ცალკე სტრიქონად.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილება არის ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის დარგში მეცნიერული კვლევის ხელმძღვანელობის სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი, კოორდინაციას უწევს ყველა სამეცნიერო დაწესებულების, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებისა და სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლის გამოკვლევებს, რომლებიც ახორციელებენ კვლევით მუშაობას სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობისა და წყალთა მეურნეობის დარგში.

3. დაწესდეს, რომ ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამავე დროს არის საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურ-

ნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის ხაზით საქართველოს სსრ სამეცნიერო დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის ნაწილში და სამეცნიერო-კვლევით, საკონსტრუქტორო-ტექნიკურ დაწესებულებათა დაგეგმვის, მართვის, დაფინანსების, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ყველა საკითხზე ანგარიშს აბარებს საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტს.

4. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილებასთან ერთად დაამტკიცოს ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სხვა რეგიონალური განყოფილებების ანალოგიურად დამატებითი შტატები ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილების პრეზიდიუმის საქვეუწყებო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სახელმძღვანელოდ, დანართის თანახმად, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის სისტემის სამეცნიერო დაწესებულებების, აგრეთვე საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა საშტატო რიცხოვნობის, ხელფასის ფონდისა და მათი შენახვის ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში.

5. ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილების დამატებითი შტატების საბიუჯეტო ასიგნებებით უზრუნველყოფის მიზნით ამიერიდან საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის აპარატის 55 საბიუჯეტო ერთეულის (ხელფასის თვიური ფონდი — 8.335 მანეთი) შენახვა განხორციელდეს საქვეუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა ანარიცხების ხარჯზე.

6. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა გაითვალისწინოს წლიურ და ხუთწლიან გეგმებში კაპიტალური დაბანდებების, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყოფა და სხვა მაჩვენებლები დანართში აღნიშნული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისათვის ცალკე სტრიქონად.

7. ყველა დონეზე — საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტიდან საწარმოებამდე — მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების და მოწინავე გამოცდილების დანერგვის მართვის ერთიანი სისტემის შექმნის მიზნით გარდაიქმნას შრომის მეცნიერული ორგანიზაციის რესპუბლიკური ცენტრი საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის სისტემაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვის ცენტრად, ამასთან გადაყვანილ იქნეს იგი შრომის ანაზღაურების მეორე ჯგუფში, არსებული წესის თანახმად.

საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს კომიტეტის სისტემაში

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვის ცენტრის დებულება, სტრუქტურა და საშტატო განრიგი.

8. უფლება მიეცეს ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილების პრეზიდიუმის თავმჯდომარეს დაუნიშნოს დადგენილი წესით დანართში აღნიშნულ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა სახელმძღვანელო აპარატის მუშაკებს, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაკებს პერსონალური განაკვეთები თანამდებობრივი განაკვეთების პერსონალური დანამატების ფონდების ფარგლებში.

9. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული მეოთხე მთავარი სამმართველოს საავადმყოფოსა და № 1 პოლიკლინიკის მიერ მომსახურებულ თანამდებობათა, აგრეთვე სანატორიულ-საკურორტო მკურნალობის უფლების მქონე პირთა ნომენკლატურის დამატებით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 26 თებერვლის № 161 დადგენილებით, შეყვანილ იქნენ აღნიშნულ სიებში ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილების პრეზიდიუმის თავმჯდომარე, მისი მოადგილეები და სწავლული მდივანი საერთო საკითხებში.

10. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ დამატებით გამოუყოს საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტს ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილებისათვის ლიმიტი 2 მსუბუქი ავტომობილის შესანახად შესაბამისი ზღვრული ასიგნებებითურთ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1984 წ. 19 იანვარი, № 35

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 19 იანვრის № 35 დადგენილების დანართი

## ნ უ ს ხ ა

**საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებების, რომელთა ხელმძღვანელობა ეკისრება ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილების პრეზიდიუმს**

საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი
საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
საქართველოს მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
საქართველოს ნიადაგთმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
მეფუტკრეობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება
რესპუბლიკური გამოთვლითი ცენტრი
საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური დაპროექტებისა და ეკონომიკური პროგნოზირების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და წარმოების მართვის რესპუბლიკური ცენტრი
სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თავთავი“

---

**შენიშვნა:** სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თავთავს“ ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილება უწევს სამეცნიერო-მეთოდურ ხელმძღვანელობას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

# 11 საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის მიერ წარმოდგენილი დებულება უსინათლოთა საზოგადოების შესახებ.

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 5 სექტემბრის № 633 დადგენილებით დამტკიცებული დებულება საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების შესახებ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 20 დეკემბრის № 728 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 5 სექტემბრის № 633 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების დებულების მე-9 პუნქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1984 წ. 30 იანვარი, № 52

№ 1/
ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1984 წლის 30 იანვრის № 52 დადგე-
ნილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების შესახებ

### I. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია საქართველოს სსრ კონსტიტუციის 49-ე მუხლის შესაბამისად და მოქმედებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, ამ დებულების და საზოგადოების ყრილობის მიერ მიღებული წესდების და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.

2. საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ამოცანაა უსინათლო მოქალაქეთა გაერთიანება, რომლის მიზანია ჩააბას ისინი საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობაში, კომუნისტური საზოგადოების აქტიურ მშენებელთა რიგებში, გააუმჯობესოს უსინათლოთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება, ხელი შეუწყოს მათი იდეურ-პოლიტიკური, ზოგადსაგანმანათლებლო დონის ამაღლებას.

3. ამ ამოცანების განსახორციელებლად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება:

ა) იზიდავს უსინათლოებს საზოგადოების წევრებად;

ბ) იღებს ზომებს, რათა ჩააბას უსინათლოები საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში, ეხმარება მათ საწარმოო კვალიფიკაციისა და სპეციალური მომზადების მიღებაში, აწყობს სამუშაოზე სასწავლო-საწარმოო წამოწყებებსა და ორგანიზაციებში, აგრეთვე სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და სოფლის მეურნეობაში;

გ) ორგანიზაციას უწევს და ატარებს უსინათლოთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობით, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას და ხელს უწყობს მათ ზოგადი საშუალო და უმაღლესი განათლების მიღებაში;

დ) ახორციელებს ღონისძიებებს თანამედროვე კონსტრუქციების, ტექნიკურ ხელსაწყოთა, სპეციალურ მოწყობილობათა დასანერგავად, რაც აფართოებს უსინათლოთა საწარმოო და კულტურულ შესაძლებლობებს, აგრეთვე აუმჯობესებს მათს საყოფაცხოვრებო პირობებს და სივრცეში ორიენტირებას;

ე) ხელს უწყობს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს უსინათლოთა სამედიცინო მომსახურების შემდგომ გაუმჯობესებაში, უსინათლობის თავიდან აცილებისა და დარჩენილი მხედველობის შენარჩუნების მიზნით სანიტარიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელებაში.

გ) ქმნის საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ადგილობრივ ორგანოებს და უსინათლოთა პირველადს ორგანიზაციებს, სასწავლო-საწარმოო გაერთიანებებსა და წამოწყებებს, ექსპერიმენტულ და ავტოსატრანსპორტო საწარმოებს, საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიურ ბიუროებს, სარემონტო-სამშენებლო სამმართველოებს, მუსიკალურ-საესტრადო გაერთიანებებს, სამეურნეო ანგარიშზე მყოფ მომარაგების ბაზებსა და სახლმმართველობებს, უსინათლოთა შრომისუნარიანობის აღსადგენ სკოლებს, დამხმარე მეურნეობებს, აწყობს კადრების მოსამზადებელ, გადასამზადებელ და კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს, ხსნის კულტურის სახლებს, ბიბლიოთეკებს, სტამბას, გამომცემლობას, კლუბებს, წითელ კუთხეებს, სპორტულ ბაზებს და სხვა დაწესებულებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოების საწესდებო ამოცანების შესრულებას.

იძენს და აშენებს საცხოვრებელ სახლებს, საწარმოო კორპუსებს, სანატორიუმებს, დასასვენებელ სახლებს, შენობებს საბავშვო ბაგა-ბაღებისა და პიონერთა ბანაკების, მომსახურების სფეროსა და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტებისათვის.

4. საქართველოს უსინათლოთა საზოგადოებას საერთო ხელმძღვანელობასა და კონტროლს უწევს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო.

საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ საზოგადოების ზემდგომი ორგანოების ხელმძღვანელობით, აგრეთვე სოციალური უზრუნველყოფის შესაბამისი ადგილობრივი ორგანოების მეთვალყურეობითა და კონტროლით.

5. საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება, მისი ადგილობრივი ორგანიზაციები სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებით და თავიანთი ქონებით პასუხისმგებელი არიან ნაკისრი ვალდებულებებისათვის კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში.

6. საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები გამოდიან წარმომადგენლებად საზოგადოებისა და მის წევრთა საქმეებზე ცენტრალურ და ადგილობრივ სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

### II. საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების საქმეთა მართვა

7. საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების მმართველობისა და კონტროლის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები იქმნება და მოქმედებს იმ საფუძველზე, რომელსაც საზოგადოების წესდება განსაზღვრავს.

8. საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება მთელ თავის მუშაობას აფინანსებს საზოგადოების საკუთარი სახსრებიდან.

საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების სახსრები იხარჯება საზოგადოების ამოცანების შესაბამისად, საზოგადოების საფინანსო ხარჯთაღრიცხვებისა და გეგმების მიხედვით.

საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების შემოსავლის და გასავლის ხარჯთაღრიცხვას ამტკიცებს საზოგადოების გამგეობის პლენუმი, ხოლო საზო-

გადოების გამგეობის აპარატის ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვას — საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმი და რეგისტრირებას ახდენს შესაბამის საფინანსო ორგანოში.

საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების, კულტურის სახლების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების და სხვა ორგანიზაციების ხარჯთაღრიცხვებს, აგრეთვე სასწავლო-საწარმოო წამოწყებებისა და გაერთიანებების საწარმოო საქმიანობის ძირითად საგეგმო მაჩვენებლებს ამტკიცებს საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმი.

9. საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების გამგეობა საზოგადოების საქმიანობას წარმართავს ამ დებულებისა და საზოგადოების წესდების შესაბამისად, ასრულებს ფუნქციებს, რომლებსაც წესდება ანიჭებს და უფლება აქვს:

ა) შექმნას და გააუქმოს, დადგენილი წესით, საზოგადოების ორგანიზაციები, საწარმოები და დაწესებულებები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ დებულების მე-3 მუხლის „ვ" პუნქტით;

ბ) დაამტკიცოს საზოგადოების ორგანიზაციათა, საწარმოთა და დაწესებულებათა სტრუქტურა და ადმინისტრაციულ-სამმართველო შტატები საზოგადოებისათვის დაწესებული ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, თანამდებობრივი განაკვეთების სქემების დაცვით:

საზოგადოების ორგანიზაციათა, საწარმოთა და დაწესებულებათა ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვები და საშტატო ცხრილები შემდგომ რეგისტრირებულ უნდა იქნეს შესაბამის საფინანსო ორგანოებში;

გ) დაიტოვოს თავის განკარგულებაში საზოგადოების ორგანიზაციებსა და საწარმოებს შორის გეგმისა და ხელფასის ფონდის განაწილებისას რეზერვი ორ პროცენტამდე;

დ) დაამტკიცოს დადგენილი წესით მშენებლობის პროექტები და ხარჯთაღრიცხვები, აგრეთვე სამშენებლო ობიექტების საპროექტო დავალებების სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებანი;

ე) საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს დაზუსტებანი მშენებლობათა საპროექტო დავალებებსა და სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებებში;

ვ) დააწესოს (საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით, სიმძლავრეების საექსპლუატაციოდ გადაცემის დადგენილი გეგმის შეუცვლელად) ზეგეგმით კაპიტალურ სამუშაოთა დამატებითი მოცულობანი ასამოქმედებელ ობიექტებზე და მშენებლობებზე, რომლებსაც შეუძლიათ გეგმას გადააჭარბონ იმ მშენებლობათა დაფინანსების გეგმის შემცირების ხარჯზე, რომლებიც გეგმას ვერ ასრულებენ;

ზ) გადაანაწილოს ორგანიზაციებსა და საამქროებს შორის კვარტალურ ბალანსში ასახული და კვარტალური ბალანსებით მოცემული მოგების საკუთარი საბრუნავი სახსრების ნამატი, რისთვისაც სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ განყოფილებებს წარუდგინოს ბრძანებები, რომელთა შესრულება სავალდებულოა;

თ) გადაანაწილოს საზოგადოების საწარმოებს შორის ზედმეტი, გამოუყენებელი მასალა, მოწყობილობანი, სატრანსპორტო საშუალებანი და სხვა მატერიალური ფასეულობანი, ნება დაერთოს, რეალიზაცია უყოს ამ ფასეულობებს, აგრეთვე გადასცეს ფონდები ან აძლიოს თავისი რესურსებიდან მასალა და წვრილმანი საკომპლექტებელი მოწყობილობანი სახელმწიფო საწარმოებს დაწესებული ნორმების მიხედვით, ხელშეკრულებით საჭირო პროდუქციის დასამზადებლად;

ი) განსაზღვროს საზოგადოების საწარმოთა ყველა სახის პროდუქციის გამოშვების ტექნიკური პირობებისა და ნახაზების განხილვისა და დამტკიცების წესი ტექნიკური პირობების მომხმარებელთან სავალდებულო შეთანხმების შემდეგ;

კ) შექმნას მუშა-მოსამსახურეთა პირობებისა და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდი სასწავლო-საწარმოებში მოგების დაგროვების ხარჯზე;

ლ) დააწესოს და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით განსაზღვროს ამ ფონდში გადასარიცხი თანხის ოდენობა იმ შემთხვევაში, თუ საწარმოები აღნიშნული ფონდის შექმნის პირობებს ასრულებენ ნაწილობრივ, გეგმის ძირითად მაჩვენებლებს კი — მთლიანად.

საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება სახელმწიფო ბიუჯეტთან ურთიერთობას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### III. საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების წევრები

10. საზოგადოების წევრად მიღებისა და გარიცხვის წესი, საზოგადოების წევრთა უფლება-მოვალეობანი, საწევრო ანარიცხების გადახდევინების წესი და ოდენობა განისაზღვრება საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების წესდებით.

### IV. შეღავათები და უპირატესობანი, რომლებიც საქართველოს უსინათლოთა საზოგადოებას ენიჭება

11. საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება, მისი სასწავლო-საწარმოო წამოწყებები, გაერთიანებები და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები თავისუფლდებიან მიწის ნაკვეთის საიჯარო გადასახადისაგან.

# 12 საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მებაღეობის ამხანაგობებში საზაფხულო საბაღე სახლების მშენებლობის მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოთა ორგანოები, სამინისტროები და უწყებანი, საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭო (აგროკოოპი) მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან მებაღეობის ამხანაგობათა წევრების მიერ საბაღე სახლების ასაგებად დადგენილი ნორმების შესაბამისად, რის შედეგად მებაღეობის ამხანაგობათა წევრები საბაღე სახლებსა და დამხმარე ნაგებობებს აგებენ დამტკიცებული პროექტების ზუსტად დაცვით. ამასთან, ამხანაგობის ზოგიერთი წევრი, ადგილობრივი ორგანოების წაყრუებისა და შემრიგებლური დამოკიდებულების გამო, ზოგჯერ არღვევს პროექტს, იყენებს მშენებლობისათვის არაფონდირებულ რკინაბეტონის კონსტრუქციებს. საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭო (აგროკოოპი) ჯერ კიდევ სრულად ვერ უზრუნველყოფს კოლექტიური მებაღეობის ამხანაგობათა წევრებისათვის საბაღე სახლების დროულად და ხარისხიანად მშენებლობას.

საზაფხულო საბაღე სახლების დაპროექტების, მშენებლობის გაუმჯობესების, მისი ღირებულების შემცირებისა და კოლექტიური მებაღეობის ამხანაგობათა წევრების უკეთ მომსახურების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. აიკრძალოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საზაფხულო საბაღე სახლებისა და დამხმარე ნაგებობათა მშენებლობაზე მოცულობითი ბლოკების, ასაწყობი რკინაბეტონის ნაკეთობათა და სხვა კონსტრუქციების გამოყენება, რომლებიც არ არის გათვალისწინებული მოქმედი ტიპობრივი პროექტებით.

2. გაუქმდეს მესამე ტიპის ერთი და ოროთახიანი საზაფხულო სახლის ტიპობრივი პროექტები, დამტკიცებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 1 ნოემბრის № 1532 განკარგულებით, ვინაიდან აღნიშნული პროექტებით სახლების შენება არარაციონალურია და იწვევს მიწის მნიშვნელოვანი ფართობის დაკავებას.

3. საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის წერილი მებაღეობის ამხანაგობათა საბაღე სახლების მშენებლობაში არსებულ დარღვევათა შესახებ დაეგზავნოს სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული საბჭოების აღმასკომებს ზომების მისაღებად და დაევალოთ მათ:

— ერთი თვის ვადაში განიხილონ მებაღეობის ამხანაგობათა იმ წევრების საკითხი, რომლებმაც საბაღე სახლების მშენებლობისას დაარღვიეს დამტკიცებული პროექტები, აგრეთვე იმ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის საკითხი, რომელთა ამხანაგობებშიც მოხდა ეს დარღვევები, და მიღებული ზომების შესახებ აცნობონ საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს;

— საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა განაზოგადოს მიღებული მასალა და 1984 წლის 1 მაისისათვის წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესაბამისი ინფორმაცია;

— საბაღე სახლებისა და დამხმარე ნაგებობათა მშენებლობის დადგენილი წესის დარღვევათა თავიდან ასაცილებლად გააძლიერონ კონტროლი მათ ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან შექმნილ მებაღეობის ამხანაგობათა საქმიანობისადმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1981 წლის 16 ივნისის № 427 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად და მიიღონ კანონმდებლობით გათვალისწინებული მკაცრი ზომები იმათ მიმართ, ვინც დაარღვია მებაღეობის ამხანაგობათა საზაფხულო საბაღე სახლების მშენებლობის დადგენილი წესი;

— სისტემატურად ჩაატარონ მებაღეობის ამხანაგობათა შენობა-ნაგებობების ინვენტარიზაცია და დროულად წარუდგინონ მასალები საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპს) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსათვის მოსახსენებლად.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპს):

— უზრუნველყოს „საქაგროკოოპპროექტის“ მიერ შედგენილი საბაღედ გამოყოფილი ტერიტორიის ორგანიზაციისა და საზაფხულო საბაღე სახლების პროექტების ადგილზე მისადაგების სამუშაოთა შესრულება, რათა მშენებლობა განხორციელდეს დამტკიცებული პროექტების ზუსტად დაცვით;

— შეადგინოს „საქაგროკოოპპროექტის“ მეშვეობით ახალი ტიპის საზაფხულო საბაღე სახლების იაფფასიანი პროექტები ადგილობრივი მასალის გამოყენებით და ორი თვის ვადაში წარუდგინოს განსახილველად საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს.

5. საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა:

— კორექტირება გაუკეთოს მოქმედი საზაფხულო საბაღე სახლების ტიპობრივი პროექტების ნუსხას იმ ვადაუდით, რომ ამ ნუსხიდან ამოირიცხოს არაეკონომიური პროექტები;

— 1984 წლის 1 მარტამდე საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოსთან (აგროკოოპთან) ერთად დაამუშაოს და დადგენილი წესის შესაბამისად დაამტკიცოს საზაფხულო საბაღე სახლების საექსპლუატაციოდ მიღების წესი.

6. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებმა, „მოქალაქეთა კუთვნილი ქონების სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 2 ოქტომბრის ბრძანებულების პირველი მუხლის შესაბამისად, უზრუნველყონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საექსპლუატაციოდ გადაცემული საბალე შენობათა აღრიცხვა და დაზღვევის გადასახდელების გადახდევინება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1984 წ. 10 თებერვალი, № 70

## 13 სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ტიპობრივი დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს თანდართული ტიპობრივი დებულება სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს შესახებ.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს დაამტკიცოს რესპუბლიკის თითოეული რაიონის, ქალაქის მიხედვით შესაბამისი დებულებანი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რაიონული, საქალაქო სამმართველოს შესახებ ადგილობრივი პირობებისა და აღნიშნულ სამმართველოთა საქმიანობის თავისებურების გათვალისწინებით.

3. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ორი კვირის ვადაში წარმოადგინონ წინადადებანი „თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 4 ოქტომბრის № 693 დადგენილებაში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის თაობაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1984 წ. 27 თებერვალი, № 103

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1984 წლის 27 თებერვლის № 103
დადგენილებით

# ᲢᲘᲞᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

## სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს შესახებ

### 1. ზოგადი დებულებანი

1.1. სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ქმნის სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასკომი, არის სამეურნეო ანგარიშზე, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით, აქვს მრგვალი ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი, და კუთხოვანი შტამპი, რომელზეც აღნიშნულია მისი სრული დასახელება.

1.2. სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო (შემდგომში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოდ წოდებული) ექვემდებარება როგორც სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასკომს, ისევე საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს.

1.3. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო ახორციელებს საერთო ხელმძღვანელობას რაიონის, ქალაქის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისადმი, კოორდინაციას უწევს და წარმართავს რაიონის, ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების საქმიანობას.

1.4. რაიონის, ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებულ საყოფაცხოვრებო მომსახურების სპეციალიზებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, მთავარი საწარმოების გარდა, აქვთ ორმაგი დაქვემდებარება და ექვემდებარებიან შესაბამის გაერთიანებასა და ტრესტებს და ამავე დროს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რაიონულ, საქალაქო სამმართველოებს მათი დისლოკაციის ადგილის მიხედვით.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოებთან რესპუბლიკური გაერთიანებების, ტრესტების ურთიერთობის საკითხებს წყვეტს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოების აღმასკომებთან შეთანხმებით.

1.5. რაიონში, ქალაქში რესპუბლიკური გაერთიანებებისა და ტრესტების საწარმოთა მიერ მოსახლეობისათვის გაწეული საყოფაცხოვრებო მომსახურების სახეობათა განვითარების საკითხები წყდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შესაბამის სამმართველოსთან შეთანხმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქალაქო, რაიონული სამმართველოს გადაწყვეტილებანი მუშაობის რეჟიმის დაწესებისა და დაცვის, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების დისლოკაციის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების წესების დაცვის საკითხებზე, რომლებიც მიღებულია ამ დებულებით მისთვის მინიჭებული უფლებების შესაბამისად და შეეხება სამმართველოს მომსახურების ზონაში მოქმედ სპეციალიზებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, სავალდებულოა შესასრულებლად რესპუბლიკური სპეციალიზებული გაერთიანებებისა და ტრესტებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ თავიანთ საქვეუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას, მათდამი ტექნიკურ და მეთოდიკურ ხელმძღვანელობას, ხელშეკრულებათა დადებას სამარაგო ნაწილებისა და დეტალების დამამზადებელ ქარხნებთან, აგრეთვე სპეციალისტთა კადრების ცენტრალიზებულ მომზადებას, საგარანტიო რემონტის ორგანიზაციას.

1.6. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს საქმიანობას შეფასება ეძლევა რაიონის, ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემის ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის მუშაობის საერთო მაჩვენებლების მიხედვით.

1.7. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო ანგარიშს აბარებს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოსა და საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს წინაშე და პასუხისმგებელია გეგმის შესრულებისათვის ქალაქის, რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემის ყველა ორგანიზაციისა და საწარმოს მიერ.

1.8. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებებით, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის ბრძანებებითა და სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებებით, აგრეთვე ამ დებულებით.

1.9. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს აქვს საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის დაწესებულებებში.

## 2. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ამოცანები და ფუნქციები

2.1. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ძირითადი ამოცანები ის არის, რომ:

— განახორციელოს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარებისა და გაუმჯობესების შესახებ;

— განამტკიცოს რაიონის, ქალაქის საყოფაცხოვრებო მომსახურების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

— შეისწავლოს მოსახლეობის მოთხოვნა საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე, დანერგოს საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი ფორმები და სახეობები დადგენილი წესის შესაბამისად;

— გააფართოოს საყოფაცხოვრებო მომსახურების ცალკეულ სახეობათა შინასასისტემო კოოპერირება;

— აამაღლოს წარმოების ტექნიკური დონე, დანერგოს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, საყოფაცხოვრებო მომსახურების ნოვატორთა მოწინავე გამოცდილება;

— განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც ხელს უწყობენ მშრომელთა მომსახურების ხარისხისა და კულტურის ამაღლებას, მომსახურებაზე მოსახლეობის მოთხოვნის უფრო სრულად დაკმაყოფილებას;

— გაშალოს პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად სოციალისტური შეჯიბრება საგეგმო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, მომსახურების ხარისხისა და კულტურის ამაღლებისათვის, აგრეთვე მოძრაობა კომუნისტური შრომისათვის;

— დაზოგოს მატერიალური რესურსები და ფართოდ გამოიყენოს წარმოების ნარჩენები;

— განამტკიცოს სახელმწიფო და შრომის დისციპლინა, მიიზიდოს ამ ამოცანის გადასაწყვეტად ფართო საზოგადოებრიობა;

— სრულყოს მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების, მატერიალური და მორალური სტიმულირების ფორმები და სისტემები;

— სრულყოს საკადრო მუშაობის ყველა ფორმა და განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ კადრების სწორად შერჩევას, განაწილებას, მომზადებას, აღზრდასა და დამკვიდრებას;

— შეასრულოს ბიუჯეტის გადასახდელთა გეგმა, დროულად გაუსწოროს ანგარიში ბანკებსა და მიმწოდებლებს.

2.2. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფლება აქვს, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ნებართვით და სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასკომთან შეთანხმებით, შექმნას დადგენილი წესით ქალაქის, რაიონის ტერიტორიაზე ახალი ობიექტები არადამოუკიდებელ ბალანსზე.

2.3. რესპუბლიკური გაერთიანებების, ტრესტების შემადგენლობაში შემავალი ობიექტები იქმნება და უქმდება დადგენილი წესით მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსთან შეთანხმებით. მხარეთა შორის უთანხმოებებს წყვეტს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო.

2.4. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

— შეიმუშავებს ქალაქის, რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარების პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების პროექტებს პირდაპირი დაქვემდებარების საწარმოო ქვედანაყოფების მიერ წარდგენილი მასალების საფუძველზე და საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს დავალებებიდან გამომდინარე, შეუთანხმებს მათ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომს;

— მონაწილეობას მიიღებს და გასცემს თავის დასკვნას რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოების მიერ გაწეული საყოფაცხოვრებო მომსახურების სპეციალიზებულ სახეობათა განვითარების გეგმების გამო;

— გაანაწილებს საგეგმო დავალებებს პირდაპირი დაქვემდებარების საწარმოთა შორის და განახორციელებს კონტროლს მათი შესრულებისადმი, აგრეთვე კონტროლს რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ გეგმების შესრულებისადმი;

— გაანაწილებს პირდაპირი დაქვემდებარების საწარმოთა შორის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყოფილ ფონდებს, კონტროლს გაუწევს მათს დროულად ათვისებასა და დანიშნულებისამებრ გამოყენებას;

— რესპუბლიკურ გაერთიანებებთან, ტრესტებთან ერთად განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესება, შრომის ნაყოფიერების ამაღლება, მატერიალური რესურსების ეკონომია, მომსახურების თვითღირებულების შემცირება და რენტაბელობის გადიდება;

— კონტროლს გაუწევს შრომითი პროცესის სწორ ორგანიზაციას, უსაფრთხოების ტექნიკისა და შრომის დაცვის წესების შესრულებას, შრომის კანონმდებლობის დაცვას ქალაქში, რაიონში განლაგებულ საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემის ყველა საწარმოსა და ორგანიზაციაში;

— კონტროლს გაუწევს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემის რაიონის (ქალაქის) ყველა საწარმოსა და ორგანიზაციაში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების წესების, სამუშაო დღის რეჟიმის დაცვას, მოსახლეობის შეკვეთების შესრულების ხარისხსა და დროულობას, მომსახურების კულტურას, ფასების პრეისკურანტების დაცვას, სანიტარიულ მდგომარეობას.

2.5. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიებს ატარებს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო.

2.6. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფლება აქვს გაუწიოს რაიონის, ქალაქის მოსახლეობას საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მიერ დამტკიცებული საყოფაცხოვრებო მომსახურების სახეობათა ნუსხით გათვალისწინებული საყოფაცხოვრებო მომსახურება, დანერგოს დადგენილი წესით საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი ფორმები და სახეობანი, გამოუშვას ნაკეთობანი მოსახლეობისათვის წვრილ პარტიებად რეალიზაციის მიზნით, შეასრულოს საწა-

რმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შეკვეთები უნაღდო ანგარიშსწორებით იმ ვარაუდით, რომ ეს მოცულობა მიეკუთვნოს საყოფაცხოვრებო მომსახურებას სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით დამტკიცებული 1-ყოფ. ინსტრუქციის შესაბამისად.

2.7. თავისი ძირითადი ფუნქციების შესრულებასთან ერთად მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფლება ეძლევა დაამზადოს საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის უნაღდო ანგარიშსწორებით ნაკეთობანი შემკვეთის მასალებით არასაყოფაცხოვრებო მომსახურების გეგმის ფარგლებში.

**3. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს სახსრები**

3.1. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოსათვის დამტკიცებული სახსრები ქმნის მის საწესდებო ფონდს, რომლის ოდენობა აისახება სამმართველოს ბალანსში.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ბალანსი წარედგინებათ სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასკომს, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსა და სხვა ორგანოებს საბუღალტრო ანგარიშისა და ბალანსების შესახებ დებულებებით გათვალისწინებულ ვადებში და წესით.

3.2. საკუთარი საბრუნავი სახსრების საერთო ოდენობას (ნორმატივს) მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უწესებს მისი წარდგენით საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო, და იგი შეიძლება შეიცვალოს წლის განმავლობაში მხოლოდ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს გეგმების შეცვლასთან დაკავშირებით.

3.3. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო მოახმარს საამორტიზაციო ანარიცხებს ძირითადი ფონდების კაპიტალურ რემონტსა და სრულ აღდგენას.

3.4. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მოგება განაწილდება დადგენილი წესით მისი შემოსავალ-გასავლის ბალანსის შესაბამისად.

3.5. იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს კოლექტივის მატერიალური დაინტერესება საგეგმო დავალებათა შესრულებით და უზრუნველყოფილ იქნეს წარმოების რენტაბელობა, მოგებიდან და საამორტიზაციო ანარიცხებიდან იქმნება ეკონომიკური სტიმულირების ფონდები (მატერიალური წახალისებისა, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა, საბინაო მშენებლობისა, წარმოების განვითარებისა), აგრეთვე დადგენილი წესით გადაირიცხება სახსრები მუშაკთა პრემირებისათვის, ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვის სამუშაოებისათვის და ახალი ტექნიკის ათვისების ფონდის შესაქმნელად. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო ამ ფონდებს ქმნის და გამოიყენებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### 4. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს სტრუქტურა

4.1. სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასკომი ნიშნავს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელსა და სხვა ხელმძღვანელ მუშაკებს და ათავისუფლებს მათ მოვალეობათა შესრულებისაგან (სამმართველოს უფროსი შემდგომ მტკიცდება სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული საბჭოს მორიგ სესიაზე) საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსთან შეთანხმებით.

4.2. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი:

— მოქმედებს მინდობილობის გარეშე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს სახელით, წარმოადგენს მის ინტერესებს ყველა საწარმოში, ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, მოქმედი კანონმდებლობისა და ამ დებულების შესაბამისად განაგებს სამმართველოს ქონებას, დებს ხელშეკრულებებს, გასცემს მინდობილობებს, მათ შორის სხვისთვის მინდობის უფლებით, ხსნის სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის დაწესებულებებში სამმართველოს საანგარიშსწორებო ანგარიშსა და სხვა ანგარიშებს;

— წარადგენს სარჩელებს, პასუხს აძლევს მათ გამო სასამართლოსა და არბიტრაჟის ორგანოებში;

— ამტკიცებს სამეურნეო ანგარიშზე არსებულ საქვეუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა დებულებებს;

— ახორციელებს საერთო ხელმძღვანელობას მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს საქმიანობისადმი და პასუხს აგებს სახელმწიფო გეგმების შესრულებისა და შრომის, საფინანსო, საწარმოო დისციპლინის დაცვისათვის, აგრეთვე შრომით კოლექტივებში საბჭოური ცხოვრების წესისათვის უცხო ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ გეგმაზომიერი უკომპრომისო ბრძოლის ორგანიზაციისათვის;

— თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს სამუშაოდ და ათავისუფლებს სამუშაოდან მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ნომენკლატურისათვის მიკუთვნებულ მუშაკებს;

— იღებს წახალისებისა და დისციპლინური ზემოქმედების ზომებს სამმართველოს მუშაკთა მიმართ.

4.3. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მომსახურების ზონაში განლაგებულ სპეციალიზებულ საწარმოთა ხელმძღვანელ და სხვა მუშაკებს სამუშაოდ იღებენ და სამუშაოდან ათავისუფლებენ სპეციალიზებული რესპუბლიკური ორგანიზაციები შესაბამისი ქალაქის, რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოსთან წინასწარ შეთანხმებით.

4.4. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მიერ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მმართველობის აპარატის შენახვისათვის განსაზღვრული სახსრების შესაბამისად სამმართველო, თანამდებობრივი განაკვეთების სქემიდან გამომდინარე, ამტკიცებს საქვეუწყებო ობიექტების ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის შტატებს.

4.5. სამმართველოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება კანონით დადგენილი წესით.

---

## 14 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილებით დამტკიცებულ იმ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სიას, რომელთა სახლებიდან შეიძლება მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლო წესით, თუ მათ შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა პირადი სურვილით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის დათხოვნასთან ანდა დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით, შემდეგი შინაარსის პუნქტი:

„122. სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჩერქეზია.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1984 წ. 27 თებერვალი, № 105

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ—76187

# СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 1, 1984 წელი

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/V-84 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16,
საბეჭდი თაბახი 4, სააღრიცხვო თაბახი 4,

შეკვეთა № 625 უე 07972 ტირაჟი 1700

საქართველოს სსრ მს მთავარი სამეურნეო სამმართ. სტამბა